ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 5 (1340) | 12-18 თებერვალი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი

## გაზეთ „საქართველოს" რედაქციისადმი

მართალია, დაუპატიჟებელი სტუმარი გეწვიეთ, მაგრამ მოვალენი ხართ მომისმინოთ, ვინაიდან თქვენთვის უფრო მეტად სასირცხვო იქნება სხვა გაზეთის ფურცლებიდან რომ მოგმართოთ. საქმე ეხება თქვენს რეპორტაჟს პოლიტიკური პარტიების შეკრების შესახებ. ამ პარტიებმა, როგორც ჩანს, დაინახეს, რომ ერის შეჩვენება არ ასცდება იმას, ვინც დღეს ხმას არ ამოიღებს იმ მორიგ ისტორიული მნიშვნელობის ღალატზე, რომელსაც ამზადებს შევარდნაძე და მისი ნომენკლატურული ხუნტა საქართველოში. თუმც უნდა ითქვას, რომ სრული სიმართლის თქმას ამ პარტიების მესვეურებმა ნახევარსიმართლე ამჯობინეს. თანაც ისტორიის უტიფრად გაყალბებას, ჩვეულებისამებრ, არ მოერიდენ. თურმე ნუ იტყვით, რუსეთის შინაგანი ჯარი სამაჩაბლოში მე შემიყვანია. ბარაქალა თქვენს ობიექტურობას, ბ-ნო არჩილ იოსელიანო! თურმე მე ვყოფილვარ სსრკ-ს პრეზიდენტი, შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, გორბაჩოვი, პუგო და იაზოვი საერთოდ არ არსებულან ბუნებაში! არა,ბატონებო, იმჟამად „მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელს", როგორც ცენტრი გვიწოდებდა, არავინ ეკითხებოდა სსრკ შინაგანი ჯარის გადაადგილებას სსრკ ტერიტორიაზე. შინაგანი ჯარის შემოყვანა მე პოსტ ფაქტუმ გავიგე. არც ჩემთან შეთანხმებაზე უფიქრია არავის, მე არსად დავუბარებივართ, როგორც შევარდნაძე დაიბარეს დაგომისში „მშვიდობისმყოფელი" ძალების შემოყვანის წინ და ხელი მოაწერინეს ამ „უმნიშვნელოვანეს" პოლიტიკურ დოკუმენტზე. როდესაც პუგოს საპროტესტო წერილი გავუგზავნე და ტელეფონით ახსნა-განმარტება მოვთხოვე, მან განმიცხადა, ქართველები აპირებენ ოსების ამოწყვეტას, ვლადიკავკაზზე თავდასხმას, როკის გვირაბის გადაკეტვას, ლამის რუსეთის აღებას და აბა ჩვენ რა დაგვრჩენია თავდაცვის გარდაო.

მაშინ უზენაეს საბჭოში ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ გვესარგებლა ერთადერთი კონსტიტუციური უფლებით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა შეიარაღებული შენაერთის ჩვენი იურისდიქციისადმი დაქვემდებარებით, რათა ფორმალურ-იურიდიული ბერკეტი მაინც გვქონოდა ხელთ რუსეთის აშკარა აგრესიის პირისპირ. ამის გამო ცხინვალში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ დადგენილებაში შევიტანეთ პუნქტი სსრკ შინაგანი ჯარის ჩვენი იურისდიქციისადმი დაქვემდებარების შესახებ. (საქმე ეხებოდა ცხინვალში დისლოცირებულ შინაგან ჯარს). რუსეთისათვის ომის გამოცხადებით, ამ ჯართან შეიარაღებული კონფლიქტით კი რასაც მივაღწევდით, ყველამ კარგად იცის. აი, რას უმალავთ თქვენ ხალხს და უტიფრად აცხადებთ, გამსახურდიამ შემოიყვანაო ეს ჯარი. იმისი არ იყოს, გამსახურდია იანაევთან ერთად მოსკოვის პუტჩის მონაწილეაო, მაგრამ თურმე იმდენად დიდი მხარდაჭერა მქონია იმპერიისაგან, რომ დღემდე არ გამოუგზავნეს ქართველ პუტჩისტებს „იანაევის დაკითხვის ოქმი".

იქვე ასეთი კურიოზი გვხვდება: თურმე ზვიად გამსახურდიას ისეთივე ხელშეკრულება დაუდია თათრეთთან, როგორსაც დღეს ე. შევარდნაძე აპირებს რუსეთთან. თათრეთთან არავითარი სამთავრობათშორისო ხელშეკრულება არ დადებულა. მ. ომანიძემ დადო ხელშეკრულება ნავთობის მოწოდებაზე, ეგ იყო და ეგ. ახალი „გეორგიევსკის ტრაქტატი" და ის ხელშეკრულება ვერაფერი შესადარებელია. ხოლო „სამთავრობათშორისო" ხელშეკრულების დადებას კი დღეს „სამხრეთ ოსეთთანაც" კი აპირებენ კავსაძე და ელოშვილი. რატომ არ იღებთ ამაზე ხმას?

თუმც ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. ზვიად გამსახურდია ცილისწამების ან ლანძღვის კონტექსტში უნდა ახსენოთ, რათა „სახელმწიფოს მეთაურის" კეთილგანწყობა არ დაკარგოთ. მაგრამ გახსოვდეთ, მაინც დაკარგავთ მის კეთილგანწყობას ასეთი შეკრებების მოწყობის შედეგად. სირაქლემას პოლიტიკა დღეს ველარ გიშველით, ამიტომ ჯობია სათქმელი ბოლომდე თქვათ, თუ გსურთ, რომ ერმა და ისტორიამ არ შეგაჩვენოთ.

1993 წ. 27 იანვარი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი დევნილობაში



### ნოდარ ნათაძის მცირე კომენტარი:

როგორც ერთადერთი დეპუტატი რომელმაც ხმა მივეცი ცხინვალის რეგიონში სსრკ შინაგანი ჯარების მოქმედების დაკანონების წინააღმდეგ, ვალდებულად ვთვლი თავს მოვახსენო მკითხველს: ერთია მტრის შემოსვლა და თარეში ქვეყანაში, მეორეა ამ შემოსვლის დაკანონება ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ. განსხვავება პრინციპულია და ეს უმძიმესი შეცდომა უმძიმეს შეცდომად რჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი სხვათა მიერ განმეორდა.

### რედაქციისაგან:

ბატონო ზვიად, როგორც ჩანს, ჩვენს გაზეთს კიხულობთ, და, თუ ეს ასეა, გაუგებარია, რას ეფუძნება ეჭვი შესახებ იმისა, რომ თქვენი წერილის გამოქვეყნება გაზეთ „საქართველოში" გაგვიჭირდება...

თქვენ გახსოვთ, თუ როგორ არ ვეპუებოდით თქვენს ხელისუფლებას, მაგრამ არა იმისათვის, რომ ახალი მმართველობის შიშით გავტრუნულიყავით.

პრესა თავისი ქვეყნის მსახური უნდა იყოს დ არა თავისი ქვეყნის მთავრობისა...

ქვეყანა კი, სადაც თავისუფლად არ დაიბეჭდება თავისი პირველი პრეზიდენტის (თუნდაც იარაღის ძალით გაძევებულის) წერილი, ქვეყანა არ არის.

# ახალი საქართველოს მართვა ძველი სტილით შეუძლებელია

ჯანო ჯანელიძე

**სიტყვა, რომელიც რეგლამენტის სიმცირის გამო ნაწილობრივ იქნა წარმოთქმული საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 2 თებერვალს, სადაც აფხაზეთის საკითხი განიხილებოდა**

სამიოდე წლის მანძილზე საქართველოს იმდენი რამ გადახდა თავს, რომ იგი სრულად გამოიცვალა. 1989 წლის 9 აპრილით, როგორც გალაკტიონი იტყოდა, საქართველოში დაიწყო ახალი ერა.

დიახ, გამოიცვალა საქართველო, გამოიცვალა ქართველი ხალხი და მისი მართვა ძველი წესით, ძველი მეთოდითა და რაც მთავარია, ძველი იდეალებით შეუძლებელი გახდა.

მე კი მგონია, რომ მოსკოვის 3 სექტემბრის ხელშეკრულება ცდა იყო, კიდევ ერთხელ გვემართა საქართველო ძველი წესით. ჩვენ არ ვუარყოფთ, რომ აუცილებელი იყო მივჯდომოდით მოლაპარაკების მაგიდას რუსეთთან აფხაზეთის საკითხზე, მაგრამ ამ მოლაპარაკებაში არძინბასა და მისი დამქაშების მონაწილეობა, სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, ეს იყო გაუმართლებელი კომპრომისი. დამნაშავეებს არ ებაასებიან, დამნაშავეებს ასამართლებენ. ასევე მიუღებელი იყო ჩრ. კავკასიის ხალხთა და ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობა ამ მოლაპარაკებაში. ამით ჩვენ მათ დავუდასტურეთ აფხაზეთზე პრეტენზიულობის სამართლიანობა თუ არა, ანგარიშგაწევა მაინც და დამნაშავე ჩრ. კავკასიის კონფედერაციის წისქვილზე მივუშვით წყალი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოლაპარაკებით ჩვენ მოვიგეთ თითქოს პოლიტიკურად, მაგრამ წავაგეთ ყოველნაირად. ამით ჩვენ პოლიტიკური ასპარეზი მივეცით არძინბას სისხლიან ხელისუფლებას, მივეცით დრო მომზადებულიყო ომის წარმატებით წარმართვისათვის, მიეღო დახმარება ჩვენთვის უცნობი არხებიდან და მათ შორის უცნობი არსებიდან და მათ შორის რუსეთისაგან, რომელმაც ამ ხელშეკრულებით კიდევ ერთხელ მოგვატყუა, არ შესრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც ერთი პუნქტი, რის შედეგად დავკარგეთ გაგრა, ლესელიძე, განთიადი და გაუბედურდა ათასობით ადამიანი. ამიტომ პოლიტიკა, რომელიც უკუღმართად მოქმედებს ათასობით ადამიანის ბედზე, არ შეიძლება გამართლებული იყოს.

3 სექტემბრის ხელშეკრულებით გუმისთა-ეშერისა და გაგრა-კოლხიდას რეგიონებში უნდა მომხდარიყო ორი დაპირისპირებული ძალის დაშორიშორება, სამი კილომეტრით. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიხიეს უკან არა 3, არამედ 25 კილომეტრით, მოწინააღმდეგე ძალებმა კი

(დასასრული იხ. მე-5 გვ.)

**საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება**

1993 წლის 27—28 თებერვალს ჩატარდება საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობა.

რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარეებმა 1993 წლის 20 თებერვლამდე წარმოადგინონ ყრილობის დელეგატთა სია.

ყრილობამდე ყოველი კვირის პარასკევს პირველ საათზე გაიმართება

# როგორ გააფრთხობინა სული ბატონიშვილმა მინარეთზე აყვირებულ მოლას

## (ანუ რემინისცენცია სახელმწიფოს მეთაურის ერთ განცხადებასთან დაკავშირებით)

როცა სქართველოში მოკალათებულ რუსის ჯარისკაცებს ქართველი მებრძოლები განიარაღების მიზნით ესხმიან თავს, წარმატების შემთხვევაში, ვერ დავმალავ, აღტაცების გრძნობა მეუფლება.

მე ასეთ დროზე ვოცნებობდი...

ვნატრობდი იმ ჟამს, როცა ჩვენი ორასწლოვანი მტრის ჯარისკაცის, ოკუპანტად მოვლენილი ჯეელის მიმართ, ქართველი კაცი სადღეგრძელოს კი არ აღავლენდა (ჩვენს წითელ ღობეს გაუმარჯოსო), არამედ, მტრად მიიჩნევდა და ოჯახში შესულს გააპანღურებდა.

აბა, რომელ ქართველს არ უგრძვნია სიამოვნება ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯადან" იმ სიუჟეტის კითხვისას, როცა მთიელი მათია ქალზე მოძალადე ყ...ს მუხლებზე დაიგდებს, დედიშობ...დ დასტოვებს და შემდეგ მოუსავ...ლ...სკენ გაგზავნის...

აღტაცებული ვკითხულობთ არსენა ოძელაშვილის მიერ რუსის სალდათების დაწიოკების სიუჟეტებსაც.

ასეთი ამბები ჩემი თაობისათვის მხოლოდ რომანებში იყო წარმოდგენილი, ცხოვრებაში კი სხვა რამ ხდებოდა.

დაპყრობილ საქართველოს თავი თავისუფალი ეგონა.

დამპყრობელი ჯარისკაცი კი ამ თავისუფლების ბურჯი.

ხეირიანად ანბანის შესწავლა არ გვქონდა დასრულებული, საბჭოთა სკოლა გასაზუთხად რომ გვთავაზობდა პირველკლასელებს შემდეგ სტრიქონებს —

„საბჭოთა არმიელი ვარ,
სალ კლდეზე უფრო მაგარი"...

იმპერიის პროპაგანდისტული მანქანა შეუდარებლად მიზანსწრაფულად მუშაობდა...

ახლა სხვა დროა.

საბჭოთა არმიელის დანახვა აღარავის უხარია.

შიგადაშიგ მათი დაპანღურებაც ...ება.

სხვათა შორის, ეს რუსმაც უნდა გაიგოს.

რუსეთი რომ გერმანიას დაეპყრო და დღეს დაშლილიყო გერმანიის იმპერია, რუსები რა, მათ ჯარისკაცებს სიყვარულით ჩაიხუტებდნენ გულში?

ახლა კი იმის შესახებ, რაც საჭიროა, ქართველებმაც გავიგოთ ერთხელ და სამუდამოდ.

ყველაფერი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, არის ჩემი ემოციური დამოკიდებულება რუსის ჯარისადმი და არა მარტო ჩემი...

მაგრამ ნათქვამია, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის...

არავითარი იმედი და ილუზია იმისა, რომ რუსი გაიგებს: დამპყრობელი რომ ვარ, ამიტომაც სამართლიანად ცდილობენ ჩემს დაპანღურებასო — არ არსებობს.

ჩვენ დამპყრობელშიც არ მოგვცა ღმერთმა იღბალი...

არადა, სერიოზული ბრძოლის თავი მათთან, გასაგები მიზეზების გამო, არა გვაქვს.

შეიძლება, ხელი შემოგვიბრუნონ... (ისედაც არ გვაკლებენ)

ამიტომ, ჯერ იქნებ გონება ჩაგვერთო საქმეში.

როცა კაცს სიტყვით ვერ გააგებინებენ, მუშტიკრივი მერე იმართება...

საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს.

**გუშინ, პარლამენტის სხდომაზე, სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ ჩვენი შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენლები კიდევ დასხმიან თავს რუსის ჯარს, განიარაღების მიზნით.**

თუ ეს შეგნებულად ხდება, იმისათვის, რომ მოლაპარაკება ჩაიშალოს, რა შეიძლება ითქვას?

ბევრი რამის არცოდნის გამო, მე არ ვუწყი, ეს მოლაპარაკება ჩასაშლელია თუ არა.

მაგრამ დანამდვილებით ვიცი ერთი რამ, პოლიტიკური საკითხის ამა თუ იმ ფორმით გადაწყვეტა, პარლამენტის საქმეა და არა თოფიანი კაცებისა...

თუ აღნიშნულ თავდასხმას მხოლოდ ემოციური მუხტი ედო საფუძვლად, მაშინ კიდევ შეიძლება, თავდამსხმელებს გაუგოს კაცმა...

მაგრამ იმ ბატონიშვილის როლში კი არიან, კონსტანტინე გამსახურდიას ლაკონურად რომ ჰყავს დახასიათებული.

ბატონი კონსტანტინე წერდა: „ერთხელ ირანის შაჰის ელჩებთან ჰქონდა საუბარი თავის სასახლეში ერეკლეს, კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად, გამოდგა სასახლის აივნიდან ერთ-ერთი ბატონიშვილი, მინარეთზე აყვირებულ მოლას თოფი ესროლა და სული გააფრთხობინა".

ასე ხდება დღესაც. იმ განსხვავებით, რომ ბატონიშვილის საქციელით გაოგნებულ მეფეს, მისი დატუქსვის უფლება მაინც ჰქონდა. დღეს კი, სახელმწიფოს მეთაურისაგან, დატუქსვაც სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან მოლის ნაცვლად შეიძლება „ბატონიშვილმა" თავად მას მოუღეროს (თუ მეტი არ ქნა) თოფი (ბოდიში, ავტომატი)...

**ნოდარ გრიგალაშვილი**

# „სამხრეთ ოსეთის" „რესპუბლიკის" „სესია"

დიახ, ასეა, როგორც ერთ-ერთმა საქართველოს პარლამენტარმა ამას წინათ თქვა. ჩვენ სამაჩაბლოს პრობლემა დავაკონსერვეთო, მაგრამ ასე არ ფიქრობენ „სამხრეთ ოსეთელი" პარლამენტარები. ისინი აქტიურად „მიიწევენ წინ", ჰქმნიან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ისტორიას.

როგორც ცნობილია. გასული წლის 7 ნოემბერს ჩატარდა არჩევნები იმ დეპუტატების ნაცვლად, რომლებიც ადგილებზე აღარ იმყოფებიან.

სხვათა შორის ის ფაქტი, რომ ბევრი დეპუტატი ცხინვალის რეგიონიდან წავიდა და ჩამოსცილდა სადეპუტატო საქმიანობას, ბევრ რამეზე მეტყველებს, პირველ რიგში კი იმაზე, რომ მათ გამოიჩინეს შორსმჭვრეტელობა, საღი აზროვნება, იფიქრეს, რომ არაკანონიერი, არაკონსტიტუციურია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის არსებობა, რომ უაზროა სეპარატისტების მცდელობა, საქართველოს გამოგლიჯონ მიწა, ამიტომ „თამაშიდან გავიდნენ" და ამით გამოხატეს თავიანთი მიდგომა პრობლემისადმი.

სამი დღე— 17—18—19 ნოემბერს მიმდინარეობდა შევსებულ-განახლებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს" სესია, რომელზეც განიხილეს 30(!) საკითხი. პირველ საკითხზე — 7 ნოემბერს გამართული არჩევნების შედეგების შესახებ ანგარიშით გამოვიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი.

. სესიამ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დანიშნა ვ. ხუბულოვი, მის მოადგილედ ა. ჯიოევი. ფარული კენჭისყრით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს აცამაზ კაბისოვი.

სესიამ შექმნა სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მინისტრად დანიშნა მურად ალბოროვი, ტრანსპორტის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისა და საგზაო მშენებლობის სამინისტრო გარდაქმნეს ტრანსპორტის, სათბობ — ენერგეტიკული რესურსებისა და საგზაო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტად.

სესიამ მოისმინა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ტორეზ კულუმბეკოვის მოხსენება სამხრეთ ოსეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა იური ჯიჭოევმა, როზა ვალიევამ, ლუდმილა გალანოვამ და სხვებმა.

სესიამ მიიღო მიმართვები რუსეთის სახალხო დეპუტატთა მეშვიდე ყრილობისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტის— მ. შანიბოვისადმი და სხვა მთელი რიგი ორგანიზაციებისადმი.

სესიამ პროტესტი გამოთქვა რუსეთის მთავრობისადმი და რუსეთის თავდაცვის სამინისტროსადმი იმის გამო, რომ ახალციხის მოტომსროლელი დივიზია გადასცეს საქართველოს (!?)

შეადგინეს დელეგაცია მოსკოვში და ვლადიკავკაზში გასაგზავნად, რომელსაც დავალა, იქ გადაწყვიტოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სტატუსის საკითხი (!?).

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ცხინვალის, ზნაურისა და ჯავის რაიონში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ.

სესიამ მიიღო კანონები „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შესახებ" და „მილიციის შესახებ".

სესიამ მიიღო წოდება „ოსეთის გმირი".

ყველა საკითხებს ვერ ჩამოვთვლით, როგორც აღვნიშნეთ, სესიამ 30 საკითხი განიხილა. ისე, რომ საქართველოს ზემოაღნიშნული პარლამენტარნი და ზოგიერთი სხვანიც ნუ ფიქრობენ, რომ სამაჩაბლოში პრობლემები დაკონსერვებულია. იქ „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოა" ყველა თავისი ატრიბუტითა და რაც დრო გადის, მით უფრო მტკიცედ მყარდება იქ მდგომარეობა ოსური მხარის სასარგებლოდ და ალბათ ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ რაც დრო გადის, იქ სროლები აღარ არის, ამით თითქოს მშვიდობა მყარდება. თუმცა მართლა მყარდება მშვიდობა იქითა მხარის სასარგებლოდ.

ჩვენ ამ სესიის ანგარიში იმიტომაც მოვიყვანეთ და ამდენი გვარები იმიტომ დავასახელეთ, რომ მკითხველმა გაიგოს, იმ გვარებიდან არცერთია ქართველი, საპარლამენტო საქმიანობაში არცერთი ქართველი არ მონაწილეობს. ამ დროს კი მართალია, ქალაქ ცხინვალიდან გამოსული არიან ქათველები, მაგრამ დაახლოებით 20 ათასი ქართველი ისევ ცხოვრობს სამაჩაბლოს სოფლებში. კანონების მოყვარე დემოკრატი ოსი ლიდერები რატომ ლახავენ ქართველების მოქალაქეობრივ უფლებებს? განა ეს ქართველების დისკრიმინაცია არ არის? თუ მათი აზრით მართლა აქვთ რესპუბლიკა, მმართველობაში ერთი ქართველი მაინც არ უნდა ჰყავდეთ?

მავანი და მავანი იტყვის — ყოველივე ეს რესპუბლიკანობის, მინისტრობანას თამაშიაო. ჩვენ ასე ვფიქრობთ, ისინი კი მინისტრების სავარძლებში სხედან, მერე რა, რომ მოქმედების შანსებები არა აქვთ, ხელფასებს ხომ იღებენ, ილუზიებით ხომ ცხოვრობენ?

ხუმრობა იქით იყოს და დროა, „კონსერვი ავხადოთ", მივხედოთ თვითმარქვია სეპარატისტებს.

გაზ. „შიდა ქართლი" №2



# ორი რეპლიკა

მიხეილ მახარაძე

## კვლავ ძველებურად?

ფილოსოფიური და საერთოდ თავისუფალი აზრის განვითარებაზე დამთრგუნველად მოქმედებს ბიუროკრატიული, ადმინისტრაციული და იდეოლოგიური ზეწოლა. ასე იყო ყველგან და მათ შორის საქართველოშიც, განსაკუთრებით კი კომუნისტური მმართველობის დროს.

1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ, რის საფუძველზეც დაემხო კომუნისტური მმართველობა საქართველოში, ყველა პირობა უნდა შექმნილიყო აზრის თავისუფლებისათვის. მოხდა კი პირიქით, უფრო გაძლიერდა ზეწოლა, განსაკუთრებით ფილოსოფიაზე. მაშინ ეს მისია თავის თავზე აიღო ე.წ. ეროვნული იდეოლოგიის ასოციაციამ. სწორედ იმ ასოციაციამ, რომელიც ახლა პოლიტიკურ პარტიად გადაკეთდა და მისი მესვეური მამა აბრამის ბატკანივით წარმოადგენს თავს: აქაოდა, მაშინ ჩვენ კეთილშობილური მიზანი გვამოძრავებდა, მაგრამ მავანნი სულ სხვა რამეს გვიკიჟინებდნენო. ისე გამოდის, რომ არგუმენტირებული შენიშვნები მოფაშისტო იდეოლოგიაზე კიჟინი ყოფილა, ხოლო მათი ულტრარადიკალური მოთხოვნები საქართველოს ფილოსოფიური ცენტრების ხელმძღვანელთა გადადგომა-გადაყენებასა და ყველა უმაღლეს სასწავლებელში საზოგადოებრივი კათედრების ეროვნული იდეოლოგიის ასოციაციის პრინციპების მიხედვით გაწყობაზე — მხოლოდ კეთილშობილური განზრახვა.

ეროვნული იდეოლოგიის ასოციაციის მესვეურნი სიტყვით კომუნისტურ იდეოლოგიას, მარქსიზმს ებრძოდნენ, საქმით კი ნამდვილი მარქსისტებივით იქცეოდნენ. არ იყო შემთხვევითი, რომ მათ პირველ სამსხვერპლოდ შეარჩიეს სწორედ ისინი, რომელთაც სხვა თუ არაფერი, გარკვეული დამსახურება მიუძღოდათ მარქსიზმისაგან ჭეშმარიტი ფილოსოფიის გადარჩენის საქმეში. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ როგორც ადრე, ისე ახლა ამ ასოციაციის თუ პარტიის მესვეურთ, რომელთაც არაფერი პოზიტიური ფილოსოფიაში არ შეუქმნიათ, ფართო ასპარეზს უქმნიან, ამჯერად მხოლოდ პრესაში. ამასთან ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა როგორმე მოერგონ ყოველ ახალ ხელისუფლებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ადრე თუკი ხოტბას ასხამდნენ ყოფილ ხელმძღვანელობას, ახლა მათ „იზოლაციონისტობაში" სდებენ ბრალს...

საქართველოში ახალი არჩევნების ჩატარების შემდეგ ახალი იმედები გაჩნდა ფილოსოფიური აზრის თავისუფალი განვითარებისა და ფილოსოფიური კერების დამოუკიდებელი საქმიანობისათვის. მაგრამ რიგ შემთხვევებში საქმე ძველებურადაა! კონკრეტული ფაქტი გვაქვს მხედველობაში. ამას წინათ გამოცხადდა კონკურსი საქართველოში ყველაზე დიდი — ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსში მონაწილეობისათვის კათედრის სამმა წევრმა შეიტანა განცხადება. მაგრამ მოულოდნელად, კათედრის წევრებთან შეუთანხმებლად (რასაც ფორმალურად მაინც ყოველთვის აკეთებდნენ კომუნისტური ხელისუფლების დროს) და მათი ინტერესების გაუთვალისწინებლად, რექტორის ბრძანებით კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა განმცხადებელთაგან ერთ-ერთი.

რა მოხდა? ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. იქნებ სულაც, ძველებურად, ზემოდან ტელეფონის ერთმა ზარმა გადაწყვიტა ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილებები ფილოსოფიური აზრის განვითარებასა და საქმიანობას კეთილად ნამდვილად არ წაადგება.

## «ხელის გამმართველი»... საიქიოდან

დღეს რომ საქართველოს ძალიან უჭირს ყოველმხრივ, ამის აღნიშვნით ახალს ვერაფერს იტყვი. მაგრამ ბევრ რამეში ისევ ჩვენ რომ მიგვიძღვის ბრალი, ესეც არ უნდა იწვევდეს ეჭვს. სხვას რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ასეთი მძიმე სიტუაციის მიუხედავად, ზოგიერთის გონება „ხალხთა მამისა" და ბელადის — სტალინისადმია მიპყრობილი. სწორედ იმ სტალინისადმი, რომელიც ცივილიზებულ სამყაროში ცალსახადაა შეფასებული: დიქტატორი, ჯალათი, ხალხთა ახალი საპყრობილის ერთ-ერთი შემქმნელი და მეთაური და სხვა ამისთანა. ჩვენთან კი ზოგიერთი ამას აინუნშიაც არ აგდებს და გაიძახის: ის მაინც ქართველია, დიდი პიროვნება იყო, მსოფლიოს აზანზარებდა და ა.შ. ამიტომაც გვმართებს ზრუნვა მისი სახელისათვისო. გამომდინარე აქედან, ზოგიერთი დიდად ირჯება და ცდილობს, ჩვენი სმენა თანდათანობით შეაჩვიოს და მოამზადოს სტალინისადმი დადებითი განწყობისთვის. ფიქრს და აზრს ვერავის აუკრძალავ, მაგრამ, როცა ეს მცდარი აზრი საჯაროდ გამოითქმება, მასზე რეაგირება აუცილებელია.

გურამ ვაშაკიძე თავის, ერთი შეხედვით უწყინარ წერილში — „დღესაც სტალინის იმედით?!" („საქართველოს რესპუბლიკა", 6 თებერვალი, 1993) მკითხველს მოუთხრობს ახლო მომავალში ავსტრიის დედაქალაქ ვენაში სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატების გამოფენის თაობაზე და მასზე გარკვეულ იმედებს ამყარებს. გორის სტალინის სახლ-მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ქალბატონ ლეილა აბუაშვილთან საუბრისას ნათქვამია: „საქმეს კარგი პირი უჩანს. არ არის გამორიცხული, რომ შემდგომში ევროპის სხვა ქვეყნებმაც უმასპინძლონ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის ექსპონატებს. მაშინ კი ქალაქის კეთილმოწყობაზეც შეიძლება ფიქრი, ვნახოთ..." მხედველობაშია ის, რომ ეს გამოფენები გარკვეულ ვალუტას შემოგვიტანს, სწორედ ამ ნათქვამის საფუძველზე ბატონი გურამ ვაშაკიძე აკეთებს დასკვნას, რის გამოც დაიწერა ჩვენი რეპლიკა: „საოცარი ბედი დაჰყვა ამ კაცს, ორმოცი წელია ლანძღვა-გინებით ვავსებთ, ის კი თავის მაგინებელ უმადურ „შვილებს" იმ ქვეყნიდანაც გვიმართავს ხელს".

ხედავთ, რაში ყოფილა საქმე! ჩვენ, ესე იგი ქართველები, ამდენი ხანია თურმე სულ ტყუილუბრალოდ ვლანძღავთ და ვაგინებთ სტალინს (კი არ ვაკრიტიკებთ!) და აქამდის ვერ გაგვიგია, რომ მწარედ ვცდებოდით. გურამ ვაშაკიძე კი თავისი წერილით ცდილობს, სწორ გზაზე დაგვაყენოს „ძე-შეცთომილნი". ამისათვის ლენინსაც იმოწმებს: „... აქ, ჩვენთან, ერთი საუცხოო ქართველი ჩაუჯდა და „პროსვეშჩენიესათვის" დიდ სტატიას წერს". აქვე ავტორი მკითხველს ამცნობს, რომ 1913 წელს, ვენაში ყოფნისას დაწერა სტალინმა „შემდგომში ფართოდ გახმაურებული — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი". ეტყობა, ავტორს დიდად არ აღელვებს ის ფაქტი, რომ „საუცხოო ქართველის" სწორედ ამ „შემდგომში ფართოდ გახმაურებულ" ნაშრომში გატარებულია ერთობ უარყოფითი ანტიქართული იდეები და რომელთაც შემდგომ სტალინი პრაქტიკულად ახორციელებდა ქართველი ხალხის მიმართ.

სტალინის შესახებ სხვა ცნობილი პიროვნებების მიერ გამოთქმული საქებარი გამონათქვამების დამოწმებაც შეიძლება, მაგრამ ეს უშველის ჩვენს გაჭირვებას? ნუთუ კიდევ საეჭვო უნდა იყოს საქართველოსათვის სტალინის მიერ გაწეული ნამდვილი „ღვაწლის" არსი. განა რა ისეთი სარგებელი უნდა მოგვიტანოს ასეთმა გამოფენებმა, რომ სტალინის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილი ცოდვები გააბათილოს და ნამდვილი „მახრებელი გზირი" მკითხველს წარვუდგინოთ, როგორც საიქიოდანაც კი ქართველი ხალხის „ხელის გამმართველი", ხოლო იმ ქართველებს, რომლებმაც დროულად დაინახეს სტალინისა და სტალინიზმის საფრთხე საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის, „უმადური შვილები" ვუწოდოთ.

მოკლედ, რეპლიკებში მოყვანილ მოვლენებზე რეაგირება ერთი და ორი კაცის საქმე არაა და მათზე ნამდვილად ღირს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევა და სერიოზულად ჩაფიქრება.

# აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ

აბესალომ ტუღუში

აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისადმი დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებაში ნაირგვარია. საზოგადოების ნაწილი მისი იმ სახით შენარჩუნების მომხრეა, როგორადაც ამ ბოლო დრომდე არსებობდა; ნაწილი თვლის, რომ ავტონომიაა სწორედ აფხაზთა თავგასულობის მიზეზი და ამიტომ საჭიროა მისი გაუქმება ან მნიშვნელოვანწილად შეკვეცა; ნაწილი კი შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით აფხაზებისათვის მეტი უფლებების მინიჭებას მიიჩნევს აუცილებლად.

რაც შეეხება თავად აფხაზებს, მათი ის ნაწილი, რომელიც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად თანაუგრძნობს ვ. არძინბას და მის ხროვას, აფხაზეთის ვითომცდა „დამოუკიდებლობის" მომხრეა, ხოლო ის ნაწილი, რომელსაც სათავეში უდგას ლორიკ მარშანია, აფხაზი ერის, როგორც ეთნოსის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად აფხაზეთის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტონომიურ ერთეულად დარჩენას და ქართველებთან ერთად მძლავრი სახელმწიფოს აშენებას მიიჩნევს.

აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" ყბადაღებული ლოზუნგი, რომლითაც გააბრიყვეს საკუთარი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის აფხაზმა მსტოვრებმა, სინამდვილეში აფხაზეთის მხოლოდ საქართველოსაგან დამოუკიდებლობის შინაარს შეიცავს და ის რუსეთის „ოკრუგად" აფხაზეთის გადაქცევისათვის საჭირო მიმზიდველი სატყუარაა მხოლოდ. ეს რომ მართლაც ასეა, კარგად ჩანს შავრაზმული რუსეთის დაუფარავი, მსტოვრის ზურაბ აჩბას ამასწინანდელი განცხადებიდან, სადაც ის გაკვირვებისა და აღშფოთების კილოთი ეკითხება მავანთ — ნუთუ ვერ გაიგეთ, რომ აფხაზეთი რუსეთიაო!...

ამიტომ, საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ აფხაზთა, სეპარატისტებად, ხოლო აფხაზეთში მიმდინარე ომის აფხაზ-ქართველთა ომად მონათვლა, შეცდომაა. აბა სეპარატიზმი რა სათქმელია იმასთან, რასაც სინამდვილეში ეს ამბოხება წარმოადგენს. სეპარატიზმი ეს ანტიქართული აჯანყება იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ის აფხაზეთის სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას რომ ისახავდეს მიზნად. სინამდვილეში კი საქმე გვაქვს რუსეთის აგენტურის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებასთან, რომლის მიზანია აფხაზეთის ამ ძირძველი ქართული მიწა-წყლის რუსეთის მიერ ხელახალი დაპყრობა ან უკიდურეს შემთხვევაში ოკუპაცია.

სეპარატიზმი იქნებოდა აფხაზთა ამბოხება, მასში მხოლოდ აფხაზი მოჯანყეები რომ იღებდნენ მონაწილეობას, მათ რომ რუსეთის ხელისუფლება ფარულადაც და აშკარადაც არ უჭერდეს მხარს და აფხაზების მხარეზე რუსეთის თვითმფრინავები, საზღვაო ხომალდები, ტანკები და ჯავშან მანქანები რომ არ იბრძოდნენ საქართველოს ჯარების წინააღმდეგ.

მაგრამ რაც არ უნდა ერქვას აფხაზთა ამბოხებას, ის, დღეს თუ არა ხვალ მაინც დამარცხებისათვისაა განწირული. აფხაზებსა და ქართველებს მშვიდობიანი თანაცხოვრების გარდა, სხვა გზა არა გვაქვს. მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისათვის განმსაზღვრელი კი ორივე მხარისათვის მისაღები აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსია.

აფხაზთა ამბოხების თავკაცებმა, აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილებისათვის აუცილებელი სამართლებრივ საფუძვლად გამოიყენეს ე.წ. „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" 1925 წელს მიღებული „კონსტიტუცია"-დ წოდებული დოკუმენტი. მაგრამ ეს დოკუმენტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციად, რადგან ის მიიღო და დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ, იმ საბჭოებისა, რომელიც არასოდეს, და მით უმეტეს საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, არ არჩეულა პირდაპირი, ფარული და საყოველთაო კენჭისყრით და ამდენად არასოდეს ყოფილა აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ნების გამომხატველი. ესეც არ იყოს, საბჭოები, რუსეთის საოკუპაციო ჯარების ხიშტებზე დაფუძნებული საკრებულო იყო და მისი ყრილობის მიერ მიღებული ყველა დოკუმენტი, საერთაშორისო სამართლის ძალით (სამართალდარღვევად) ითვლება.

კონსტიტუცია კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია კანონიერი, თუ ის კანონიერი გზით არის მიღებული. კონსტიტუციის მიღების სამგვარი წესი არსებობს: საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული, საყოველთაო რეფერენდუმით მიღებული და ხელმწიფის მიერ ნაბოძები (ოქტროირებული) კონსტიტუცია.

ყოველივე ზემოთ თქმული, ნათლად წარმოჩენს რუსეთის აფხაზი მსტოვრების მიერ 1925 წელს შეთითხნილი იმ. ვითომცდა „კონსტიტუციის" ფარიტინობას, რომელსაც აფხაზეთის საქართველოსათვის წაგლეჯვის

დასასრული მე-8 გვ.

# ნიკოლოზ სამხარაძე:
# ყველა მთავრობას იმას ვეუბნები, რასაც იმსახურებს

(ინტერვიუ უხუცეს დისიდენტთან)

**საქართველოში არიან უჩინარი ადამიანები, რომელთა მხრებზეც მთელი სისასტიკით გადაიარა საბჭოთა რეჟიმმა. დღეს ერთ-ერთი მათგანი გვინდა წარვუდგინოთ ჩვენს მკითხველს.**

— ბატონო ნიკოლოზ, თქვენ ერთ-ერთი უხუცესი დისიდენტი ბრძანდებით და საკუთარ თავზე გაქვთ ნაწნევი საბჭოური რეპრესიების ყველა „სიკეთე". რისთვის დაგაპატიმრეს პირველად და როდის?

1936 წლის დეკემბერში, ზესტაფონის რაიონის ს. ზოვრეთში, სადაც რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ ვმუშაობდი, სასოფლო საბჭოს სხდომაზე, რომელზეც კოლმეურნების წევრ გლეხთა წლიური ანაზღაურების საკითხს იხილავდნენ. ავდექი და ვთქვი, რომ ტყვილა მუშა გამიგონია, მაგრამ უსმელ-უჭმელი არა-მეთქი. დილიდან საღამომდე გლეხი შრომობს, ოფლს ღვრის, თქვენ კი არც სადილს აძლევთ, არც ვახშამს, წელიწადი თავდება და არც ანაზღაურებას უხდით, ასე გინდათ ააშენოთ სოციალიზმი-მეთქი.

სწორედ ამ დღიდან დაიწყო ჩემი დევნა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, როგორც სხვაგვარად მოაზროვნე და არასანდო პიროვნებისა. შედეგად ყოველივე ამას ის მოყვა, რომ 1937 წელს დამაპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მომათავსეს, საიდანაც 1938 წლის ბოლოს გამათავისუფლეს.

ამ პერიოდში ქუთაისის პედინსტიტუტში ვსწავლობდი და მუშაობაც იქვე, ერთ-ერთ კათედრაზე დავიწყე, მაგრამ მალე იქიდანაც დამითხოვეს, როგორც პატიმრობაში ნამყოფი, უპარტიო და არაკომკავშირელი.

1941 წელს გადმოვედი თბილისში და კალინინის რაიონის განთლების განყოფილების მეთოდურ კაბინეტში მეთოდისტად დავიწყე მუშაობა. 1941—1945 წლების მსოფლიო ომში არ გამიწვევიათ, ალბათ, როგორც არაკეთილსაიმედო პირი. თუმცა ჩეკისტების მუდმივი „ყურადღება" და „ზრუნვა" არ დამკლებია. ეს ბინის ჩხრეკებში, გამოძახებებში და სხვა ამგვარ მეთოდებში გამოიხატებოდა.

— თბილისში, ალბათ, თქვენი ანტისაბჭოური მოღვაწეობის ახალი ეტაპი დაიწყო.

რა თქმა უნდა. თბილისში გადმოსვლის შემდეგ შევეცადე შემეცვალა პროფესია და 1941 წელს სამედიცინო ინსტიტუტში შევედი, რომელიც 1946 წელს დავამთავრე ექიმ-თერაპევტის სპეციალობით. ამავე დრ[illegible]ლაშიც ვმუშაობდი მასწავლებ[illegible]ლიდი ისტორიას და გასწავ[illegible]როგორც ეს მე მესმოდა და არ[illegible]ის მითითებებით. [illegible] მაშინდელი ცენტრალური კომ[illegible] პირველი მდივნის, მგელაძის სახ[illegible]ზავნე სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის ჩემეული პროექტი, რომელშიც აღვნიშნე,რომ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები ხელს უშლიან სწავლის პროცესს და ისინი უნდა გაუქმდნენ — მეთქი. ბუნებრივია, ამას რეპრესიების ახალი ტალღა მოყვა ჩემი მისამართით. დამითხოვეს სკოლიდან და მამზადებდნენ შუა აზიაში გასასახლებლად. ჩემს ბედზე, ამ დროს სტალინი მიიცვალა და მეც გადავრჩი გადასახლებას. იმავე წელს სკოლაშიც აღმადგინეს.

მაგრამ მე, როგორც თავისუფლად მოაზროვნე კაცი, ჩემსას არ ვიშლიდი. 1958 წელს განათლების სამინისტროში ჩატარდა თათბირი, რომელზეც ეხილავდნენ საკითხს ჩვენს სკოლებში „საქართველოს" ისტორიის" სასწავლო პროგრამიდან ამოღების შესახებ. მანამდე ამ საგანს კვირაში ერთი საათი ეთმობოდა. ამ თათბირზე მეც, როგორც სპეციალისტი, რაღაც მანქანებით მოვხვდი და რამდენიმე ორატორის შემდეგ სიტყვითაც კი გამოვედი, სადაც აღვნიშნე, რომ ადამიანმა ჯერ თავისი ქვეყნის ისტორია უნდა იცოდეს და მერე სხვისი —მეთქი,რომ ეს ველიკორუსული პოლიტიკის გამოძახილია და თვით დიდი ილია ბრძანებდა, ერი თუ თავის ისტორიას ივიწყებს, ის ერი აღიგვება მიწისაგან პირისა — მეთქი. მოხდა საოცრება. დიდი კამათის შემდეგ არათუ ამოიღეს პროგრამიდან „საქართველოს ისტორია", არამედ პირიქით, კვირაში ორი საათიც კი დაუთმეს. არ შემიძლია არ აღვნიშნო მაშინდელი განათლების მინისტრის, ბატონ გიორგი ჯიბლაძის ჩუმი, მაგრამ ენერგიული მხარდაჭერა.

საქმე კი გაკეთდა, მაგრამ ჩემს მიმართ კვლავ გაძლიერდა მეთვალყურეობა ჩეკისტების მხრიდან. მე მიუღგომელი კაცი ვარ, ყველა მთავრობას იმას ვეუბნები, რასაც იმსახურებს. ახლაც არ დააყოვნეს საბჭოთა სამართლდამცველებმა და დამაპატიმრეს კიდეც. ამჯერად ციხის ნაცვლად ხურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამამწესეს ასეთი დიაგნოზით — ბლეილერის დაავადება (შეპყრობილია განდიდების მანიით, ისწრაფვის ხელისუფლების დაპყრობისაკენ). ისე, კაცმა რომ თქვას, ბლეილერის დაავადებით ბევრი კომუნისტი იყო ავად და არც დღესაა ასეთი ადამიანების ნკლებობა. 1959 წელს გამანთავისუფლეს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან და 1969 წლამდე წვრილ-შვილიანი ოჯახის პატრონი კაცი შინაპატიმრობაში ვიყავი ჩემს სოფელში, საზანოში, ყოველგვარი სამსახურისა და საარსებო წყაროს გარეშე. მერე ღია წერილით მივმართე მაშინდელ ხელმძღვანელს, ვასილ მჟავანაძეს, რომ მოეცათ ჩემთვის სამსახური, ან საზღვარგარეთ წასვლის ნება, მივმართე საკავშირო მთავრობასაც. ეტყობა, მობეზრდათ ჩემი ამდენი თხოვნა-წერილები და 1969 წელს უბნის ექიმ-თერაპევტად დამნიშნეს თბილისში.

— რა დამოკიდებულება გქონდათ ეროვნული მოძრაობის ძალებთან. კერძოდ, ზვიად გამსახურდიასთან და მერაბ კოსტავასთან?

1975 წელს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თაოსნობით ჩამოყალიბდა ჰელსინკის ჯგუფი, სადაც ერთ-ერთ გაყოფილებას მეც ვხელმძღვანელობდი. მერაბ კოსტავას ბინაზე ვიკრიბებოდით ხოლმე. 1977 წლის აპრილში დააპატიმრეს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. დაპატიმრების წინ ზვიადმა გადმომცა თავისი ჩემოდანი, რომელშიც მისი ნაწერები იყო. მოგვიანებით ეს ჩემოდანი მის მეუღლეს გადავეცი. ამავე პერიოდში მე თედო კოვზირიძესთან, ძმებთან მიშა და ნოე მჭედლიშვილებთან ერთად ჩამოვაყალიბე არალეგალური ორგანიზაცია „ეროვნული ხსნის კომიტეტი". ვიკრიბებოდით მიშა მჭედლიშვილის ბინაზე, რემინგტონზე ვბეჭდავდით ანტისაბჭოთა პროკლამაციებს და ღამ-ღამობით ქალაქის ქუჩებში ვავრცელებდით.

1978 წლის მარტში, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დასაცავად განცხადება შევიტანე მაშინდელ ხელმძღვანელებთან, ედუარდ შევარდნაძესთან და რამაზ პატარიძესთან, რესპუბლიკის პროკურორთან, უშიშროების შეფთან. განცხადებაში ვწერდი, რომ საბჭოთა კავშირმა, როგორც ჰელსინკის ხელშეკრულების ხელმომწერმა სახელმწიფომ, უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლება. ამასთანავე, მოვითხოვე სასამართლო პროცესზე დსწრებაც. ყოველივე ამას შედეგად ჩემი დაპატიმრება და თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება მოყვა, საიდანაც მალე გამიშვეს, მაგრამ ისევ დამაპატიმრეს 1980 წელს. ძიების დროს კითხვებზე პასუხს არ ვცემდი.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა იმპერიამ დაიწყო შეტევა თავისუფლად მოაზროვნეებზე როგორც ცენტრში, ასევე პროვინციაში. 1979 წელს, ჩემს ბინაში, ერთ-ერთ ოთახში მილიციონერი შემისახლეს ოჯახით მეთვალყურედ, მაგრამ იგი ისე სრულად არ ასრულებდა დავალებებს, როგორც უშიშროების ორგანოები მოითხოვდნენ. ამიტომ მის მიმართაც იყენებდნენ ზემოქმედების სხვადასხვა ფორმებს. შემდეგში, 1986 წელს, გორბაჩოვის მითითებით გაიყვანეს ეს პიროვნება და ოთახი დამიბრუნეს.

1981 წელს იძულებითი წესით მკურნალობისთვის გამაგზავნეს ქ. დნეპროპეტროვსკის სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც ძალით მიკეთებდნენ მომაკვდინებელ ნემსებს. ერთი თვის შემდეგ ქ. ორიოლში გადამიყვანეს, სადაც ისეთ აბებს მაძლევდნენ, რომ დროებით მეტყველებაც კი დავკარგე. აქ ჩვენს გვერდით ხალხი შიმშილისაგან, ავადმყოფობისაგან, არაადამიანური მოპყრობისაგან პანტა-პუნტით იხოცებოდა, ხმის ამოღების უფლება კი არ გვქონდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოსკოვის კომისიის რეკომენდაციით 1984 წელს გადმომიყვანეს თბილისში და სამი თვის შემდეგ გამანთავისუფლეს უპასპორტოდ.

— ბატონო ნიკოლოზ, 1990 წელს ეროვნული ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება, როგორც მრავალჭირგამოვლილი დისიდენტისა, ამ მთავრობისადმი და პირადად ზვიად გამსახურდიასადმი?

მე ტელეგრამით მივულოცე ბატონ ზვიადს ეს დიდი გამარჯვება. იმედი ჩამესახა, რომ საქართველო გახდებოდა მართლაც თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა. მაგრამ იმასაც ვამჩნევდი, რომ რუსული იმპერიული წრეები ადგილობრივ რეაქციულ ძალებზე დაყრდნობით ადვილად არ დათმობდნენ საქართველოს. გამსახურდიას მთავრობამ ვერ შესძლო თავისი მისიის შესრულება. მისი მმართველობის ხანმოკლე პერიოდში ეს ძნელიც იყო, თუმცა თვით გამსახურდიამაც არაერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

— რა შეფასებას მისცემდით თბილისის 1991—1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებს?

ის, რაც მოხდა თბილისში, განხორციელდა რუსეთის იმპერიული ძალებისა და ადგილობრივი რეაქციული ძალების მოქმედების შედეგად. ეს არ იყო სახალხო აჯანყება. ეს იყო ომი არსებული ხელისუფლებისა და ეროვნული ძალების წინააღმდეგ.

— თქვენ მთელი შეგნებული ცხოვრება იბრძოდით რუსული საბჭოური იმპერიისა და კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ. დღეს, როცა საზოგადოებაში გარკვეული დავაა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე, საინტერესოა თქვენი აზრი ამ პრობლემის შესახებ.

საერთოდ, ერის ინტერესები მოითხოვს, რომ მტერთანაც გვქონდეს ისეთი ურთიერთობა, რომელიც ერს გარკვეულ დადებით შედეგებს მოუტანს, მაგრამ თუ იცი, რომ ეს ურთიერთობა მონობის უღელს გაგიძლიერებს, მაშინ სჯობს მტერს შეაკლა თავი და თავისუფლება არ დათმო.

— თქვენი შეხედულებები აფხაზეთის ომზე და სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესებზე.

შიდა ქართლის ომი ოსებთან და ომი აფხაზებთან პროვოცირებულია რუსეთის იმპერიული ძალების მიერ და მანამ არ დამთავრდება, სანამ ისევ უღელს არ დაგვადგამენ ახალი აპეურების მოშველიებით.

— გამოსავალი რაშია?

ეს დამოკიდებულია ქართველ ერზე. თუ ერი გამთლიანდება და საერთო ძალებით შეუტევს მტერს, გამარჯვება ჩვენი იქნება. ამას დრო დასჭირდება.

— დღევანდელ ხელისუფლებაზე რას გვეტყვით?

დღევანდელი პარლამენტი ჭრელია თავისი გონით და ნებით. ბრძენს უთქვამს, როგორც ერიო, ისეთიც ბერიო. დღევანდელი საქართველო, ალბათ, ასეთ პარლამენტს და ხელისუფლებას იმსახურებს. მომავალში, მწამს, უკეთესი პარლამენტი და მთავრობა გვეყოლება. თუ პარლამენტი იქნება ერის ინტერესების გამომხატველი და დამცველი და ხალხი მას გაყვება, ცხადია, ერი ყოველგვარ სიძნელეს დაძლევს და გაიმარჯვებს. ვისურვებდი, რომ ეს გამარჯვება მალე მოსულიყოს.

ესაუბრა
სერგო ჭანაშია





ნახ. მურთაზ აბაშიძისა

## გაზეთ «საქართველოს» რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო რედაქტორო! თქვენი გაზეთის 30 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ სათაურით-"მილიციას მარტო სახელი შეეცვალა". აღნიშნულ ინტერვიუში უხეში შეცდომებია გაპარული, რაც მე არ მითქვამს ასეთ ფორმებში. მე ინტერვიუში აღვნიშნე: „დღეში სამი მანქანა რომ ვამუშაოთ შემოვლებზე, დანაშაულის აღკვეთა-აცილების მიზნით, ბენზინის დღევანდელი ფასით 180000 მანეთის ბენზინი გვჭირდება".

ასევე მეორე შეცდომა უფრო უხეშია: ვითომ რაიონში, სადაც მე დავიბადე და აღვიზარდე, 18000 მაცხოვრებელია და აქედან ნახევარი-ნარკომანი. მე ჩემი მშობლიური კუთხის მაცხოვრებელთა და ახალგაზრდობის წინაშე თქვენს მაგივრადაც ვიხდი ბოდიშს და განვიმარტავთ, რომ მე ინტერვიუში ასეთი საუბარი მქონდა.

„ჩემი რაიონი არის ცაგერის რაიონი, სადაც არის 18000 მაცხოვრებელი და იქაც კი შეაღწია ნარკომანიამ და თუ ის გავრცელდა, ჩემი კუთხის ახალგაზრდობის ნახევარს დაღუპვა მოელის." ეს იყო და ეს.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ ამ შენიშვნით ჩემი პატარა ბარათი.

**პატივისცემით ვაჟა ასათიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი საქართველოს მართვა ძველი სტილით შეუძლებელია

ჯანო ჯანელიძე

**სიტყვა რომელიც რეგლამენტის სიმცირის გამო ნაწილობრივ იქნა წარმოთქმული საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 2 თებერვალს, სადაც აფხაზეთის საკითხი განიხილებოდა**

დასასრული

დ ა

იკავეს ჩვენი პოზიციები, რის გამო დავკარგეთ გუმისთა-ეშერის ზონაში მთელი რიგი სასიცოცხლო ობიექტები, ხოლო მტერმა აიღო, როგორც აღვნიშნეთ გაგრა, განთიადი, ლესელიძე. მოეწყო ქართული მოსახლეობის გენოციდი, აღიგავა პირისაგან მიწისა თითქმის ყველა ქართული ოჯახი, თვით სასაფლაოებიც კი.

ეს იყო პირველი თქვენი სერიოზული მარცხი, ბატონო ედუარდ, რადგან თქვენ განაგრძეთ საქართველოს მართვა ძველი სტილით. ასევე ძველი სტილით განაგრძეთ მოღვაწეობა რუსეთისა და აფხაზეთის მიმართებაში, რაც არ შეიძლება მარცხით არ დამთავრებულიყო.

თქვენ, ბატონო ედუარდ, მოგატყუათ რუსეთის ხელისუფლებამ და სამარცხვინოდ გიღალატათ, მაგრამ თქვენ ეს არ აღიარეთ, მიუხედავად იმისა,რომ თქვენ განაგრძობთ მოღვაწეობას რუსეთთან და აფხაზეთთან ძველი სტილით. ეს კი, გახსოვდეთ, რომ ნამდვილად დამღუპველია, რადგან ახალი საქართველოს მართვა ძველი სტილით... შეუძლებელია.

თქვენ თანამედროვე პიროვნება ბრძანდებით და ამას თქვენ კარგად გრძნობთ. თქვენ ძველი ანგარიშები უნდა გაასწოროთ რუსეთთან და ძველი თამასუქები უნდა ჩამოწეროთ და დაწვათ. სხვანაირად არაფერი გამოვა.

ჩვენ ორასი წელია, გვატყუებს რუსეთი და დღემდე საქართველოსთან დადებული არცერთი ხელშეკრულება არ შეუსრულებია, მოყოლებული გეორგიევსკის ტრაქტატიდან თვით მოსკოვის 3 სექტემბრის ხელშეკრულების ჩათვლით.

3 სექტემბრის ხელშეკრულება უნდა გახდეს უკანასკნელი საკენკი რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაყრილი, სხვანაირად ჩვენ არაფერი გამოგვივა, სხვანაირად ჩვენ დავიღუპებით.

ჩვენ უნდა მოვიშოროთ რუსეთის ერთგულებისა და მონობის სინდრომი. მოღალატეთან არ მეგობრობენ, მოღალატესთან ანგარიშსასწორებენ.

რუსეთისადმი მორჩილებისა და მონობის დასტური იყო ის ფაქტი, რომ აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების დღეებში ჩვენ ნება დავრთეთ რუსეთის სამხედრო ხელისუფალთ აფხაზეთის მთელ რიგ მნიშვნელოვან ობიექტებში ჩამოესხათ სადესანტო ნაწილები, თითქოსდა ამ ობიექტების დაცვის მიზნით. ეს იყო, მართალი რომ ვთქვათ, რუსული ჯარის მიერ აფხაზეთის ნაწილობრივი ოკუპაცია, ნაწილობრივ მათ ადრე მოახდინეს აფხაზეთის ოკუპაცია. სადღეისოდ სწორედ ეს ობიექტებია მოქცეული ყველაზე ცხელ წერტილებში და ამაგრებენ აფხაზურ მხარეს, ამარაგებენ იარაღით, ტრანსპორტით, სურსათით. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის დიდი რუსეთი პატარა აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ. ამ ობიექტებს რუსეთის საინფორმაციო საშუალებანი ცინიკურად ლაბორატორიებს უწოდებენ და სწორედ ამ ლაბორატორიიდან გვიშენენ მძიმე ჭურვებს, ამ ობიექტებიდან ნასროლი ჭურვებით ყველივით ჭრიან ჩვენს ტანკებსა და ჯავშნოსნებს, ამ ობიექტებიდან განაგებენ და აკონტროლებენ ჩვენს საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სივრცეს, ამ ლაბორატორიებიდან აფრენილი თვითმფრინავები გვბომბავენ ჩვენ სოხუმელებს, ამ ლაბორატორიებში ნაწრთობმა რუსმა ჯარისკაცებმა აიღეს გაგრა, განთიადი, ლესელიძე. ამ ლაბორატორიებში ხდება ჩრ. კავკასიის ბანდიტების მიღება, შეიარაღება და წვრთნა. საიდუმლოებას არ წარმოადგენს რომ სოჭში აფხაზებს სამობილიზაციო შტაბ-ბინა აქვთ გახსნილი და ორგანიზებას უწევენ ასობით კაზაკ რუს თუ ჩრ. კავკასიელ მოქალაქეებს, რათა მიავლინონ ისინი აფხაზეთში საომრად — მოკლედ,რამდენიც არ უნდა დავმალოთ, რუსეთი როგორც ბატონ ნოდარ ნათაძეს უყვარს თქმა, ჩვენთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება, ჩვენი შავიზღვისპირეთი განთიადიდან გუმისთამდე მთლიანად მიიტაცა და ახლა სოხუმისა და ოჩამჩირის შავიზღვისპირეთის მიტაცებას ესწრაფვის და ამზადებს აფხაზ და ჩრ. კავკასიელ შიარაღებულ ბანდებს, ჩვენ კი ძმასა და მეგობარს ვეძახით.

ვთქვათ სიმართლე, რომ რუსული დათვი კვლავ აპირებს ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოს ხელყოფას, რომ რუსეთს უკრაინის მიერ მიტაცებული შავიზღვისპირეთის კომპენსაცია უნდა აფხაზეთის შავიზღვისპირეთის ხარჯზე, ჩვენ კი თავს ვისულელებთ და არაფერს ვამბობთ.ჩვენ აფხაზი ექსტრემისტები და სეპარატისტები კი არა, რუსი გვეომება და ეს უნდა ითქვას ხმამაღლა და ეს თქვენ უნდა თქვათ, ბატონო ედუარდ, რადგან თქვენს მიერ ნათქვამ სიტყვას წონა და ფასი აქვს.

ჩვენ წესად გვაქვს, რაც გუშინ უნდა გაგვეკეთებინა, მას დღეს ვაკეთებთ, ხოლო რაც დღეს უნდა გავაკეთოთ, მას სახვალიოდ გადავდებთ ხოლმე.

ჩვენ ძლიერ დავაგვიანეთ ერთიანი ქართული არმიის შექმნა, იმიტომ, რომ ვიღაც-ვიღაცეებს არ აწყობთ ერთიანი არმია, არ აწყობთ, რადგან ყველას თავისი არმია, თავისი ბატალიონი, თავის დივიზია ჰყავს. ჩვენში ყოველივე მეორე ფარაჯიანი პოლკოვნიკი თუ არა, პოდპოლკოვნიკი მაინც არის. გენერლებიც კარგა ბლომად გვყავს, მაგრამ როცა გენერალური ბრძოლაა ჩასატარებელი, ჩვენი გენერლები არა ჩანან — ეს როგორც გაგრაში მოხდა — ექვსი გენერალი იყო და ერთი ხიდი ვერ ააფეთქეს. ერთი თვის განმავლობაში ზეპირად ასწავლეს მოწინააღმდეგეებს ჩვენი პოზიციები, რაც გასატანი იყო, მთლიანად გაიტანეს, შემდეგ ერთი თვითმფრინავის მოლოდინში იყვნენ, რომელსაც თითქოს მტრის პოზიციები უნდა დაებომბა და შეტევა ჩაეშალა, მაგრამ არც თვითმფრინავი მოფრენილა და არც მოწინააღმდეგის პოზიციები დაუბომბავს ვინმეს. ჩვენებს დილით ავტომატის თითო-თითო მჭიდი დაურიგეს, მათ შორის მეტყვიამფრქვევლებსაც და ამით დამთავრდა ყველაფერი, მაშინ, როცა ყველამ იცოდა, რომ მტერი შეტევაზე უნდა გადმოსულიყო. ამის ნიშანი იყო, რომ ყველა სამხედრო თუ სამოქალაქო პასუხისმგებელმა პირმა წინადღით თავიანთი მანქანები ბარგით ბათუმისაკენ გაგზავნეს.

ამის შემდეგ ძალიან ძნელი დასაჯერებელია ის, რომ გაგრა და მასთან ერთად საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი არ გაყიდულა.

მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ბატონ პაატა დათუაშვილისადმი, მისი დანახვა ჩემში ყოველთვის გაგრის აღების ასოციაციას იწვევს და ამდენად შიშსაც, რომ გაგრის ტრაგედია სოხუმშიც არ განმეორდეს.

უნდა მოხდეს მეთაურთა და სამხედრო ხელმძღვანელობის რადიკალური ცვლა. ადგილი უნდა დაეთმოს პროფესიონალებს და არა დილეტანტებს, თორემ სოხუმსა თუ ოჩამჩირეში სამხედრო ფორმიანი კაცი ვერ დაუჭერიათ, მაშინვე მთელი ასეული და ზოგჯერ ბატალიონიც მიადგება პროკურატურასა თუ სამინისტროს და აიძულებენ ყაჩაღი, თითქოსდა მისი სამხედრო დამსახურების გამო, სასწრაფოდ გაანთავისუფლონ. ამიტომ სამხედრო ფორმიანთა ყაჩაღობა და მარადიორობა მოდად იქცა და სახელს უტეხენ ჩვენს მამაც და სახელოვან ბიჭებს, რომლებიც სისხლს ღვრიან და ეწირებიან სამშობლოს. ცალკე უნდა შევეხოთ თავდაცვის სამხედრო საბჭოს ცოქმიანობას. 15-ჯერ მაინც დავაყენეთ საკითხი მისი შექმნის შესახებ და ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, შეიქმნა კიდეც.

ახლა საბჭო არის თბილისში და კაცმა არ იცის, რა საქმითაა დაკავებული. ყოველ შემთხვევაში მე მიუღებლად მიმაჩნია, საბჭომ თბილისიდან უხელმძღვანელოს საომარ მოქმედებას აფხაზეთში. წარმოიდგინეთ პირველი სამამულო ომი, ნაპოლეონი პარიზში, კუტუზოვი და რუსეთის სამხედრო საბჭო სანკტ-პეტერბურგში და ბრძოლის ხაზი კი ბოროდინოში.

აი, ასეთ მდგომარეობაშია ჩვენი სამხედრო საბჭო. სამხედრო საბჭო-თბილისში, მთავარსარდალი — თბილისში, მთავარი სარდლის მოადგილე თბილისში, სამხედრო მინისტრი — თბილისში, ომის ეპიცენტრი კი სოხუმში. იქნებ ვთხოვოთ აფხაზ ექსტრემისტებს და ბრძოლებიც თბილისში გადმოვიტანოთ. ის კი არა, ჩვენმა პარლამენტმაც დროებით უნდა შეწყვიტოს თავისი სხდომები და აფხაზეთში ჩამობრძანდეს. თითო ბატალიონში თითო დეპუტატი მაინც რომ იყოს, წარმოიდგინეთ, როგორ ამაღლდება ცალკე ბატალიონის საბრძოლო სულისკვეთება და ცალკე დეპუტატის ავტორიტეტი!...

ჩვენში ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ ერთი და იმავე პოზიციებს დღეს ავიღებთ, ხვალ ჩავაბარებთ და 3-ჯერ, ზოგჯერ კი 5-ჯერაც გვიხდება ერთი და იგივე ობიექტების აღება. გარდა ამისა ჩვენს ზონაში ძლიერ ხშირია დივერსიული აქტები, აფეთქებანი, თავდასხმები, რაც მოწინააღმდეგის ზონაში გამორიცხულია.

იბადება კითხვა, რატომ ხდება ყოველივე ეს?

ამ კითხვას შეიძლება ორი პასუხი გაეცეს.

პირველი, ან ეს ხდება ზემოდან ვიღაცის მითითებით, ომის გაჭიანურების მიზნით, რაც ნაკლებ დასაჯერებელია, ან, მეორე — იმის გამო, რომ არ გაგვაჩნია საკმაო ძალები, რათა შევინარჩუნოთ დაკავებული პოზიციები და მკაცრად გავაკონტროლოთ იგი.

მიუხედავად იმისა, რომ მე ნაკლებად ვარ ჩახედული სამხედრო საქმეში, საიდუმლობაშიც, ხშირად მესმის ხმები, რომ არსებობენ ასეულები, ბატალიონები, დივიზიები და კორპუსებიც კი... ქაღალდზე, მხოლოდ ქაღალდზე... რომ ვიღაც-ვიღაცეები ისაკუთრებენ სამხედროების კუთვნილ ტანისამოსს, იარაღს, ტყვია-წამალს, სურსათ-სანოვაგეს და ა.შ. და ა.შ. და ომის გაჭიანურებაც სწორედ მათ ინტერესებში შედის.

მე კატეგორიულად ვაყენებ წინადადებას, რომ ეს საკითხი შეისწავლოს შესაბამისმა საპარლამენტო კომისიამ და შემდეგ ეს საკითხი განიხილოს პარლამენტმა თავის სხდომაზე.

თითქოსდა საგანგებოდ გვიანდება და ჭიანურდება საყოველთაო მობილიზაცია და საერთოდ იგი არ არის დაყენებული სახელმწიფოს დონეზე, თითქოს აფხაზეთი ცალკე ომობდეს და დანარჩენი საქართველო-ცალკე- კიდევ მეტი, ომში არ არიან სრულიად ჩაბმულნი სამეგრელოს რეგიონები, მათ შორის, აფხახეთის ერთერთი უდიდესი რეგიონი — გალის რაიონი.

მარტო ოჩამჩირის ქართული მოსახლეობის ძალებით შეიქმნა 7-მდე ბატალიონი, ხოლო გალის რაიონში ჯერჯერობით ერთი ბატალიონია შექმნილი.გალის გამგებელი ბ-ნი რუდიკ ცატავა ცნობილია თავისი გამჭრიახობით, მოქნილობით და ენერგიით, ამ შემთხვევაში კი მიუტევებელ თუ უმოქმედობას იჩენს, მაგრამ ხმის გამცემი არავინაა. პირიქით, როგორც ვიცი, ბატონი რუდიკისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებაისა და ყურადღებას იჩენენ.

რატომღაც ახლა მახსენდება არძინბას ომის წინანდელი ტრიუმფი გალის რაიონში. იქნებ ვინმეს მართლაც აწყობს გალის მოსახლეობის ნეიტრალური პოზა ომის გაჭიანურების მიზნით.

არის დრამატიული ნაწარმოების ერთი ასეთი მოქმედი პირი, რომელსაც განუწყვეტლივ, უკაცრავი პასუხია და, აფურთხებენ და აფურთხებენ სახეში. იგი კი იღებს ცხვირსახოცს, იწმენდს ფურთხს, თან ღიმილით დასძენს, მომაფურთხეთო, მომაფურთხეთ, თორემ ვერ მოვიწმენდო.

სწორედ ამ ტრაგიკული პირის მდგომარეობაში ვართ დღეს ჩვენ, აფხაზეთის ქართველობა. რა ხანია, გვაფურთხებენ და გვაფურთხებენ აფხაზი ექსტრემისტები, შემდეგ მთელმა აფხაზობამ განაგრძო ჩვენი ფურთხება, ჩვენ კი ვიღიმით, მადლობას ვეუბნებით კიდევ, ბოდიშს ვუხდით, თაყვანს ვცემთ და ძმას ვეძახით. ახლა უკვე მარტო ფურთხს არ დაჯერდნენ და ჩვენი ამოწყვეტა დაიწყეს, ჩვენი მამების, ძმების და შვილების სისხლის სმას შეუდგნენ, ჩვენი დედების, დების და ქალიშვილების შეურაცხყოფას მიჰყვეს ხელი. ჩვენ კი ისევ ღიმილით, ისევ მშვიდობიანი მოლაპარაკებითა და დიალოგებით ვუყვავებთ, ვეფერებით. ამასობაში ამოწყდა ნახევარი ქათველობა აფხაზეთის, ნახევარი კი ხელგაწვდილი ქუჩა-ქუჩა მათხოვრობს, სახლ-კარი არა აქვს, საჭმელი და თავშესაფარი და უბრალოდ, ყველაზე შეურაცხმყოფელი სახელი ლტოლვილი ჰქვია. სამაჩაბლო თითქმის დავკარგეთ, სამეგრელო შეურაცხყოფილი და გალახული ბავშვივით გვერდზე გადამდგარა და გაბუტულა, აჭარა სტარტზე დგას გაქცევისათვის. აღარ დარჩა საქართველოში თითქმის ოჯახი, კუთხე-კუნჭული გაუძარცვავი და უკვე აღარაფერი შემოგვრჩა ტანჯული სულის მეტი, რომელშიაც რიგრიგობით გვაფურთხებენ შინაური თუ გარეული.

აფხაზეთში კი ორი პაწია კუნძული შემოგვრჩა, რომელთაც სოხუმი და ოჩამჩირე ჰქვია სახელად და რომლებიც ხვალ-ზეგ უნდა ჩაიძირონ.

ჩვენი პოლიტიკოსები, მსოფლიო რანგის პოლიტიკოსები ისევ პოლიტიკანობას და ომობანას თამაშობენ და ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის გაკვეთილებს უჩვენებენ მსოფლიოს. მტერი კი ჩვენი თავებით ფეხბურთს თამაშობს, ჩვენი ენებით ჰალსტუხს იკეთებენ, ჩვენს ქალებს შეურაცხყოფენ, შემდეგ აშიშვლებენ და, დედიშობილთ სტადიონზე არბენინებენ...

ჩვენ კი აფხაზ დაიკოებსა და ძამიკოებს ვმწყემსავთ, პურს, მაკარონს და რძის ფხვნილს ვთავაზობთ.

დიახ, ჩვენ ქრისტიანები ვართ, ჩვენ თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის შთამომავლები ვართ, და გულმოწყალება ჩვენი თანდაყოლილი თვისებაა, სილაჩრეც, ქურდ-ბაცაცობაც და ყაჩაღობაც ჩვენი თანდაყოლილი თვისება ყოფილა და ლამის მთელი საქართველო ხორციან-სულიანად განიძარცვოს, გაყაჩაღდეს და კრინტს არავინ ძრავს, თითქოს ეს ყველაფერი ვიღაცას აწყობს და ყველაფერი ეს საგანგებოდ კეთდება.

სად არის სამხედრო რეჟიმი, განსაკუთრებული რეჟიმი, სამხედრო დისციპლინა, სამხედრო სასამართლო, სამხედრო ტრიბუნალი?!

— მხოლოდ ქაღალდზე და მხოლოდ კაბინეტში; არ მოქმედებენ ისინი!...

ჩვენ კი დაპირებითა და იმედებით გვკვებავენ ისე, როგორც მაიმუნებს მწიფე ბანანის კანით.

ამასობაში, ჭრილობიდან, რომელიც აფხაზეთში მიაყენეს საქართველოს, ისევ და ისევ მოედინება ქართული სისხლი, რომელიც თქვენი სისხლიც არის, ბატონო ედუარდ, ბატონო თენგიზ, ბატონო ჯაბა, ბატონო დეპუტატებო!

და დროა, თვალი გავახილოთ, ხელი გავანძრიოთ, ხმა გავიღოთ და სიმართლე ვთქვათ, ომობანას და პოლიტიკანობას თავი დავანებოთ და თუ ვომობთ, ვიომოთ, ვიდრე აფხაზეთს ისევ საქართველო ჰქვია. და არა ... რუსეთი!...

# გურამ ფანჯიკიძე: არა გვაქვს შეცდომის უფლება!

— ბატონო გურამ, რაიმე პროფესიულ პრობლემას ხომ არ გამოჰყოფდით, თქვენ რომ ძალიან გაწუხებთ?

გურამ ფანჯიკიძე — პროფესიულ პრობლემებზე ნაწილობრივ უკვე ვილაპარაკე. ერთი პრობლემა მაინც მინდა გამოვყო — ესაა ქართული ენის სიწმინდე.

ახლა იმდენი გაზეთი გამოდის, იმდენი ჟურნალისტი ემსახურება ტელევიზიისა და რადიოს სფეროს, გულუბრყვილობაა ყველას მოსთხოვო მშობლიური ენის ღრმად ცოდნა.

პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში მკვიდრდება უცხო კონსტრუქციები, არასწორი გამოთქმები. მაგალითების მოტანით თავს არ შეგაწყენთ. ოღონდ ვიტყვი, ეს გამოთქმები ძალზე სწრაფად იკიდებს ფეხს მოსახლეობაში, რადგან დიდია პრესისა და რადიო-ტელევიზიის ზემოქმედების ძალა.

საჭიროა სასწრაფოდ გამოიყოს კომპეტენტური კომისია, მაქსიმუმ ხუთი-შვიდი კაცის შემადგენლობით, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებენ ტიპიურ შეცდომებს და კვარტალში ერთხელ ტელესემინარს ჩაუტარებენ ყველას, ვისაც კი კალამთან აქვს საქმე. დასაწყისშივე თუ არ აღვკვეთეთ ენობრივი დამახინჯებანი, მერე ძალიან გაგვიჭირდება მათთან ბრძოლა.

რასაკვირველია, არსებობს ქართული ენის ნორმების დამდგენი კომისია, მაგრამ მას სულ სხვა ფუნქციები აკისრია.

— თქვენ თბილისელი ბრძანდებით, როგორ მოგწონთ სიტყვა „თბილისელი“ ან „ქალაქელი“, რომლებიც ესოდენ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში?

გ.ფ. თავდაპირველად იყო „ქალაქელი“. ეს სიტყვა, ჟარგონი რომ ვიხმაროთ, არაქართველებმა „შემოგვიგდეს“ ქართველებს. როცა, ვთქვათ, ვინმე არაქართველს არ უნდოდა თავისი ეროვნებისათვის ხაზი გაესვა, ამბობდა, ქალაქელი კაცი ვარო. ასევე ქართველებიც, თავაზიანობის ნიშნად ამბობდნენ, „კარგი ქალაქელი ბიჭიაო“. ომის შემდგომ, როცა სოფლებიდან და, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოდან ბევრი ხალხი გადმოსახლდა თბილისში, სიტყვა „ქალაქელმა“ (შესაბამისად, „თბილისელმა“) ახალი ფუნქცია შეიძინა. ბევრ თბილისელს აღიზიანებს ჩამოსული ნიჭიერი ხალხის წარმატებები და თავისს უნიჭობის, თავისი უბადრუკობის შესანიღბად ქალაქელობით, თბილისელობით ყელყელაობენ.

ბატონო ფელიქს, თუ ნებას დამრთავთ, ამ თემას ცოტა გავაფართოვებ. დედაქალაქი ყველას გვიყვარს, თბილისზე ლექსებიც უნდა დაიწეროს და სიმღერებიც. იწერება კიდეც, მარტო რევაზ ლაღიძისა და გოგი ცაბაძის სიმღერები რად ღირს! მაგრამ არ შეიძლება ასობით სიმღერა (თანაც უნიჭო ლექსებზე დაწერილი უნიჭო სიმღერა) ყოველდღიურად ჩაგვესმოდეს ყურში.

სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ამ სიმღერების დამსახურებადაც მიმაჩნია, რომ საქართველოს სხვა ქალაქების მცხოვრებთ უკვე აღიზიანებთ თბილისი და თბილისელები. ვერ წარმოიდგენთ, ჩვენს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში მასპინძელი გუნდები როგორი ბოღმით და ზიზღით იბრძვიან თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ! სამწუხაროდ და სავალალოდ, არანაკლები სიძულვილი იგრძნობა მაყურებელთა შორისაც.

— იქნებ ეს რეაქცია ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხების სურვილითაა განპირობებული?

გ.ფ. — ბატონო ფელიქს, ჯერ კიდევ შემწევს უნარი, სპორტული ჟინი და სიძულვილი ერთმანეთისაგან გავარჩიო. რასაკვირველია, აქვე მინდა ბოდიში მოვუხადო იმ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს, რომლებსაც ჩემი საყვედური არ ეხება.

ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, ხალხი ძალზე მგრძნობიარეა, და ყველა საქმეში ამიტომაც გვმართებს დიდი ტაქტი და დაფიქრება.

— ბატონო გურამ, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ თქვენს მიმართ აქა-იქ საყვედურიც გამაგონეს, ახლა რატომ დუმს გურამ ფანჯიკიძე, დავიჯეროთ, ყველაფერი მოსწონს, რასაც ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება აკეთებსო? თქვენ რა კომენტარს გაუკეთებდით ამ სიტყვებს?

გ.ფ. — რაკი ეგ შეკითხვა მომეცით, ვფიქრობ, უფლება მაქვს დავასკვნა, რომ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ თქვენც იზიარებთ მათ აზრს. კი, ბატონო, გიპასუხებთ. თუმცა, დიალოგის დასაწყისშივე ვთქვი, დღეს ლანძღვა-გინება იოლია, გზის ჩვენებაა-მეთქი ძნელი. ისიც მინდა შეგახსენოთ, არც მაშინ დამიწერია ბევრი წერილი. 1991 წელს კი სულ ორი წერილი გამოვაქვეყნე, ერთი გაზეთ „დროში“, 20 სექტემბერს, რომელსაც, ალბათ გახსოვთ, საშინელი რეაქცია მოჰყვა. გაზეთები გაივსო ჩემი ლანძღვა-გინებით, რაღა არ მიწოდეს... ამიტომაც გავხდი იძულებული, მეორე წერილი გამომექვეყნებინა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 5 ოქტომბრის ნომერში, „დაგიფასდებათ, უეჭველად დაგიფასდებათ“.

ასე რომ, მე ის კაცი არა ვარ, მთავრობის ლანძღვით რომ ცდილობს ქულების მოგროვებას და უშიშარი, შეურიგებელი კაცის სახელის მოპოვებას. ჩემთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, ყოველდღიურად მუშტები ვიქნიო და ყურადღება მივიქციო. ყოველი ჩემი მძაფრი, კრიტიკული წერილი მხოლოდ მას შემდეგ იწერება, გულში რომ ტკივილი ბოლომდე დაგროვდება ხოლმე. ამიტომაც ყოველი ახალი წერილის დაწერას დრო, ფიქრი, სერიოზული განსჯა სჭირდება. სათქმელი ნელ-ნელა გროვდება. თავში ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, მკითხველს თავი არ უნდა მოაბეზრო. თუმცა, არც ისეა საქმე, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ. ვერავის დავავალდებულებ ჩემს ყველა წერილს გაეცნოს, მაგრამ თუკი ჩემს მიმართ საყვედურს გამოთქვამს და თანაც ირონიით, ვალდებულია ჩემი წერილებიც წაიკითხოს. მხოლოდ ერთი წერილიდან მოვიტან ციტატას, უფრო სწორად, ჩემი გამოსვლიდან შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებულ პლენუმზე, 1992 წლის 10 ივნისს, რომელიც შემდგომ ორ გაზეთში დაიბეჭდა: „სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ დღევანდელ ჩვენს მთავრობას მაინცდამაინც დიდად არ ანაღვლებს მწერლობისა და ხელოვნების ბედი. წინასწარ ვიხდი ბოდიშს, თუ ვცდები, მაგრამ არა მგონია, ვცდებოდე: ჩახედეთ წლის ბიუჯეტს, ამაოდ დაუწყებთ იქ ძებნას სიტყვა — „კულტურა“-ს!

...დღეს, როცა საქართველოში ამდენი უმსგავსოება ხდება, დღეს, როცა საქართველოში ფულის კეთების მრავალი ხერხიდან მხოლოდ ერთი, ავტომატებით ფულის კეთების გზა აირჩიეს, დღეს, როცა დამოუკიდებელი საქართველო ბანდიტების სახელმწიფოს ემსგავსება, დღეს, როცა საქართველოში ადამიანის სიცოცხლემ ფასი დაკარგა და კაცის მოკვლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, - დღეს, როცა მსოფლიოში ასე დაეცა საქართველოსა და ქართველი კაცის ავტორიტეტი, მხოლოდ მწერლობას, ხელოვნებასა და კულტურას შესწევს უნარი, კვლავ წამოსწიოს ქართველი ერის სულიერ-კულტურული ღირებულებანი და კვლავ აამაღლოს ერის დაცემული ავტორიტეტი...

...კატეგორიულად მოვითხოვთ: თავიდანვე პრინციპულად და დაუნდობლად უნდა ვიბრძოლოთ, რომ უმსგავსოებამ ფესვები არ გაიდგას. ხალხს სისხლი იმისთვის არ დაუღვრია, რომ ახლა ტელევიზიის ეკრანიდან დაგვემუქრონ და ავტომატებით შეგვაშინონ, ხალხს სისხლი იმისთვის არ დაუღვრია, რომ ქუჩაში გამოსვლისა გვეშინოდეს და ბავშვების სკოლაში წაყვანას ვერ ვბედავდეთ. ხალხს სისხლი იმისთვის არ დაუღვრია, რომ ყოველდღე შეურაცხყოფას ვულაპავდეთ და ფიზიკური უმწეობის გრძნობა გვტანჯავდეს, ადამიანს ნელ-ნელა რომ უღებს ბოლოს“. („საქართველოს რესპუბლიკა“, 17 ივნისი, 1992 წ.).

ბატონო ფელიქს, ალბათ დამეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვან ფორუმზე რაღაც მითქვამს და გამომიქვეყნებია კიდეც!

— თქვენმა მაშინდელმა წერილებმა მძაფრი რეაქცია გამოიწვია... რას განიცდიდით მაშინ?

გ.ფ. — წინასწარ ვიყავი შეგუებული, რომ შეიძლებოდა ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრებულიყო. თუმცა, აქვე უნდა დავძინო, რომ მამხნევებდა ორი რამ. პირველი: მართალი ვიყავი ქვეყნისა და საკუთარი სინდისის წინაშე. მეორე: ჩემი წერილები და პოზიცია მოსწონდა ისეთ ხალხს, რომელსაც უნდა მოსწონებოდა, და არ მოსწონდა ისეთ ხალხს, რომელსაც არ უნდა მოსწონებოდა.

მაგალითად, ქალს, რომელსაც შეუძლია ყოველდღე და ხშირად დღეში რამდენჯერმე დაგირეკოს, უბინძურესი სიტყვებით ახლადგარდაცვლილი დედა გაგინოს, გწყევლოს და შვილიშვილების მოკვლით დაგემუქროს, ჩემი წერილი არ უნდა მოსწონებოდა.

უბედურება ის იქნებოდა, ამნაირი ხალხის მოსაწონი წერილები რომ დამეწერა!

— პარლამენტში კენჭი რატომ არ იყარეთ?

გ.ფ. — მე წინა არჩევნებშიც პრესის საშუალებით („თბილისი“, 21.08.90) მადლობა გადავუხადე იმ ხუთ პარტიასა და ორგანიზაციას, რომლებმაც თავის სადეპუტატო სიებში შემიტანეს. ასევე პრესის საშუალებით („საქართველოს რესპუბლიკა“, 20.08.92) უარი განვაცხადე ამ არჩევნებში მონაწილეობაზეც. მანამდე ასევე უარი ვთქვი სახელმწიფო საბჭოსა და კულტურის კომისიაში შეყვანაზე.

— რატომ? პროტესტის ნიშნად თუ რაიმე პოლიტიკური მოსაზრებებით?

გ.ფ. — არავითარი პროტესტის ნიშნად. პირიქით, უდიდეს პატივად მიმაჩნია, თუ ვინმეს გაახსენდები და დეპუტატობის კანდიდატად წამოგაყენებს. კიდევ უფრო სასიხარულოა, თუ ხალხი გენდობა და პარლამენტში აგირჩევს.

ჩემი უარი სულ სხვა მიზეზებმა განაპირობა. მე ჩემი თავი პროფესიონალად მიმაჩნია. არ შეიძლება ერთდროულად ორ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს მოკიდო ხელი. ჩემმა კოლეგებმა ადრე მწერალთა კავშირის მდივნად, ხოლო შემდგომ თავმჯდომარედ ამირჩიეს. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა არასდროს არ იყო იოლი, ახლა კი ძალზე რთულია. თუ რატომ, ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ და აქ აღარაფერს გავიმეორებ. ალბათ დამეთანხმებით, არასერიოზულობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, ორთავე საქმეს შევჭიდებოდი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს იქნებოდა ჩემი კოლეგების ღალატი, იმ კოლეგებისა, რომლებმაც ამ ძნელბედობის ჟამს მანდეს ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო პოსტი.

— როგორ მოგწონთ დღევანდელი პარლამენტი?

გ.ფ. — ამერიკელს რომ კითხავთ, როგორა ხარო, იგი აქეთ შეგეკითხებათ, ვისთან შედარებითო? წინა პარლამენტთან შედარებით იგი გაცილებით უკეთ გამოიყურება, ხოლო იმ პარლამენტთან შედარებით, ჩვენ რომ გვინდა და წარმოგვიდგენია, შორს დგას.

— მაინც როგორი წარმოგიდგენიათ საქართველოს იდეალური პარლამენტი?

გ.ფ. — იდეალური ამ ქვეყანაზე არაფერი არ არის და არც პარლამენტი იქნება არასდროს! მე ნორმალურ, პროფესიულ, კულტურულ პარლამენტს ვგულისხმობ, ისე კი, გულწრფელად გეტყვით, არ ვჩქარობდი აზრი გამომეთქვა საქართველოს პარლამენტზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვით პარლამენტი ახალი ცნებაა საქართველოსათვის. ბევრი დეპუტატი გამოუცდელია, არა აქვს საპარლამენტო ჩვევები ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. აი, დღევანდელი ახალგაზრდობა, ტელევიზიით რომ უყურებს საპარლამენტო სხდომებს, გარკვეულ გამოცდილებას იღებს, სათანადო დასკვნებს აკეთებს და ისინი, ვინც ფიქრობს თავისი სამოქმედო ასპარეზი პოლიტიკაში ჰპოვოს, გაცილებით მომზადებულნი იქნებიან დღევანდელ დეპუტატებზე. თვით დღევანდელი დეპუტატებიც ნელ-ნელა იმუშავებენ პროფესიულ ჩვევებს. ბევრი მათგანი ცდილობს ხშირი გამოსვლით დაამახსოვროს თავი ამომრჩევლებს და მთელ საქართველოს, ბევრი მათგანი ქულების მოსაგროვებლად იყენებს მიკროფონს, ხალხის გაჭირვებაზე ლაპარაკობს, გაჭირვებულთა გულს იგებს. სამწუხაროდ, პოპულისტურ გამოსვლებში, ბუნებრივია, ადგილი აღარ რჩება პროფესიონალიზმისათვის, საკითხის გადასაჭრელი გზების პოვნისათვის.

ვფიქრობ, დრო ბევრ დეპუტატს შესძენს გამოცდილებას, მოხსნის მღელვარებას, იაფფასიანი პოპულარობის მოპოვების სურვილს და პარლამენტიც ნელ-ნელა მიიღებს შედარებით სრულყოფილ სახეს. ნელ-ნელა-მეთქი, რომ ვამბობ, წინასწარვე ვიცი, რასაც მეტყვით, „ნელ-ნელა“ საქმეს არ შველის, საქართველომ დღესვე უნდა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯებიო. გეთანხმებით, სავსებით გეთანხმებით, მაგრამ თავს ზემოთ რომ ძალა არ არის?!

— თქვენ ბრძანეთ, „ბევრ დეპუტატს შესძენს გამოცდილებასო“. ხომ შემიძლია გავაკეთო დასკვნა, რომ ბევრს, თუნდაც ზოგიერთებს, ვერ შესძენს გამოცდილებას?!

გ.ფ. — როცა ვთქვი, ბევრ დეპუტატს შესძენს-მეთქი გამოცდილებას, დანარჩენებში ვიგულისხმე ისინი, ვისაც უკვე აქვს სათანადო გამოცდილება და, რასაკვირველია, ვიგულისხმე ისინიც, რომელთაც არაფერი არ ეშველებათ. გაიხსენეთ საიათნოვა: „გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, რა გინდ მაღლა თახჩაზედა შაიდოს“.

კიდევ ვიმეორებ, არ ვჩქარობდი აზრი გამომეთქვა ჩვენს პარლამენტზე, მაგრამ, რაკი სიტყვამ მოიტანა და ზოგიერთი შენიშვნა უკვე გამოვთქვი კიდეც, ბარემ სათქმელს აქვე მოვათავებ და თანაც იმასაც დავძენ, რომ ჩემი შენიშვნები ყველას როდი ეხებოდა.

პარლამენტი სახელმწიფოს სახეა. იგი მეტნაკლებად გამოხატავს ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტელექტუალური აზროვნების დონეს.

პარლამენტში, როგორც სარკეში, ისე ჩანს ერის კულტურული სახე.

გულდასაწყვეტია, როცა პარლამენტარები სათხილამურო ჯემპრებში გამოპრანჭულნი და გულზე ხელებგადაჭდობილნი სხედან პარლამენტის სხდომებზე და დგებოდნენ მიკროფონთან.

გულდასაწყვეტია, როცა დეპუტატები დამახინჯებული ქართულით მეტყველებენ.

გულდასაწყვეტია, როცა ისინი არად დაგიდევენ ასაკს, სახელს, გამოცდილებას და კოლეგებს უხეშად, აგდებულად, თავშეუკავებლად, უფრო მეტიც, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავენ.

გულდასაწყვეტია, როცა სპიკერი აცხადებს, სამწუხაროდ, არც დღევანდელ სხდომაზე მობრძანდა ბევრი დეპუტატიო.

გულდასაწყვეტია, როცა პარლამენტის წევრები სხდომის დროს ერთმანეთს არ უსმენენ, ხოლო სხდომიდან, როცა მოესურვებათ, მაშინ გადიან გარეთ.

ამის შემხედვარე ახალგაზრდები, გნებავთ, უფროსებიც, რა დასკვნებს გააკეთებენ? პარლამენტის სახე როგორ აირეკლება მათ საქმიანობაში?

თუკი პარლამენტში შეიძლება სხდომაზე დააგვიანო ან სულაც არ მიხვიდე, თუკი პარლამენტში შეიძლება ადამიანებს უხეშად ელაპარაკო და შეურაცხყოფაც კი მიაყენო, თუ პარლამენტში ტელევიზიის შემწეობით შეიძლება მთელი ერის წინაშე აგდებულად მოიქცე, რატომ მათ არა აქვთ უფლება, ანალოგიურად იმოქმედონ? დიახ, პარლამენტმა უნდა მისცეს ერს, სახელმწიფოს კულტურის, მეტყველების, ინტელიგენტობის, პუნქტუალობის, ადამიანისა და ქვეყნისადმი პატივისცემის მაგალითი. პარლამენტმა უნდა მისცეს ერს შემრიგებლობის, სათნოების, პრინციპულობის (და არა სიჯიუტის), პასუხისმგებლობის, სიდინჯის, სერიოზულობის, კომპეტენტურობის მაგალითი.

რაც აქამდე ვილაპარაკეთ, ეს პარლამენტის სახეს შეეხებოდა. ამჯერად კი პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

რატომღაც ზოგიერთ დეპუტატს ჰგონია, რომ ყველა საკითხზე უნდა გამოთქვას თავისი მოსაზრება. თანაც, რაც მთავარია, ეჭვიც არ ეპარება თავისი სიტყვების სიმართლეში. განა შეიძლება ადამიანი ყველა საკითხში კომპეტენტური იყოს?

— მართალი ბრძანდებით. მეც მაგონდება კამათი ენერგეტიკის პრობლემებზე, კერძოდ, ჰიდროელსადგურების მშენებლობაზე.

გ.ფ. — დიახ, მეც შევესწარი ამ გადაცემას. ისეთი კატეგორიულობით მსჯელობს ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი დეპუტატი, თანაც ისეთ წამგებიან პოზიციაში აყენებენ მშენებლობის მომხრეებს, რომ ისინი ლამის სამშობლოს მოღალატე ტექნოკრატებად გამოჰყავთ. სამწუხაროდ, ზოგიერთებს ელექტრონი მარტო ანთებული ნათურები ჰგონიათ. ელექტრონი დღეს გახლავთ ენერგეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო. ელექტრონი — ესაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, საერთოდ, სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი. რასაკვირველია, არ არის სასურველი კაშხალები და საგუბრები, რასაკვირველია, ისინი ზემოქმედებას ახდენენ მიკროკლიმატზე, მაგრამ არც ისეთს, ზოგიერთებს რომ წარმოუდგენიათ. ნუ დაგვავიწყდება, საქართველოში ჰიდრორესურსების ათვისება 20 პროცენტსაც ვერ აღწევს, შვეიცარიაში კი მაჩვენებელი თითქმის 92 თუ კიდევ უფრო მეტი პროცენტია. როცა გაზი გაჰყავდათ, ბუნებრივია, ბევრ ადგილზე ტყის გაჩეხვა გახდა გარდაუვალი, რასაკვირველია, ბუნება დაზარალდა. მაგრამ ახლა ისიც ვიანგარიშოთ, საქართველოში გაზი თუ არ იქნა, როგორ გაიჩეხება საქართველოს ტყეები. მე, ბატონო ფელიქს, თუ ნებას დამრთავთ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რამდენი ხე-ტყე შემოგვქონდა რესპუბლიკაში: მილიონ რვაასი ათასი კუბომეტრი! ახლა ვეღარ შემოგვაქვს. ჯვარი გვწერია და კუბოს მასალაც კი აღარ გაგვაჩნია. რა ელის ჩვენს ტყეებს? აი, სად უნდა ავტეხოთ განგაში.

„მწვანეები“ დამეთანხმებიან, ტყეებს ჩვენში საერთო ფართობის 37 პროცენტი უჭირავს. აქედან 500 ათასი ჰექტარი გამეჩხერებულია და ამ განადგურებამდე მისულ ტყეებს არამცთუ მერქნის მოცემა არ შეუძლია, ვერ ასრულებენ ტყეების მთავარ ფუნქციას — ნიადაგდაცვით და წყალმარეგულირებელ ფუნქციას.

ამ ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წლის წინ, ქართული ნავთობის მძლავრი ნაკადი რომ აღმოაჩინეს, წერილი გამოვაქვეყნე. უნდა გენახათ, როგორ დამესხნენ თავს. მლანძღავდნენ მე, ლანძღავდნენ გეოლოგებს, რატომ აღმოაჩინეს ნავთობიო. სამწუხაროდ, ქართული ნავთობი თავისი თეორიული მარაგით არ იყო და მით უმეტეს ახლა არ არის შთამბეჭდავი, მაგრამ ქვეყანას ნავთობი ჰქონდეს და რაღაც დილეტანტური შიშისა და მოსაზრებების გამო არ აღმოაჩინოს ან დაუმალოს შთამომავლობას? ახლა მაინც ხომ მიხვდნენ ჩემი მაშინდელი ოპონენტები, რას ნიშნავს ქვეყნისათვის ნავთობი და მისი პროდუქტები. ერთხელ, ზუსტად აღარ მახსოვს რომელ წელს, საგარეჯოს რაიონში ერთი ბურღილი აფეთქდა და ო

დასასრული. დასაწყისი იხ. № 2, 3, 4.

ჰექტარ მიწაზე მოსავალი გაანადგურა. დღესაც ყურში მიდგას და მახსოვს ტელევიზიის ეკრანიდან და რადიოდან სასოწარკვეთილი ამოძახილები, შა აბაზს არ უქნია კახეთისათვის ის, ქართულმა ნავთობმა რომ უქნაო. ასეთივე ფრაზებით აივსო გაზეთები! წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. იძულებული გავხდი „დამემშვიდებინა“ აღშფოთებული ხალხი, ნუ ღელავთ, საქართველოში ნავთობის მარაგი მაქსიმუმ ათ წელიწადში ამოიწურება-მეთქი.

სინამდვილეში კი რა მოხდა? მხოლოდ ერთი წლის მოსავალი დაიკარგა ორ ჰექტარ მიწაზე. მეორე წელს იმავე მიწაზე მოსავალი ჩვეულებრივ მოიყვანეს.

დიახ, ერთი წლით მწყობრიდან გამოსულ ორ ჰექტარ მიწაზე ამდენი განგაში ატეხეს, და ეს მაშინ, როცა საქართველოში ასეულობით ჰექტარი მიწა იკარგება ეროზიით და ჭაობებით, გაუანალიზებელი, სტიქიური მშენებლობებით და ათასი სხვა მიზეზით. ალბათ ცოტამ თუ იცის (სპეციალისტებს არ ვგულისხმობ), საქართველოში რომ უკანასკნელ 30 წელიწადში 300 ათასი ჰექტარი მიწა ჩამოწერეს, როგორც მწირი.

— ბატონო გურამ, მიწის პრობლემა საქართველოს ერთ-ერთი სუსტი წერტილია, იქნებ ამ პრობლემის ირგვლივ ისაუბროთ!

—გ.ფ. — ბატონი ბრძანდებით. საქართველოს ტერიტორიის 54 პროცენტი უჭირავს მთებს, 33 პროცენტი მთისწინებს, ხოლო 13 პროცენტი დაბლობს. მუდმივად დასახლებულია საერთო ტერიტორიის 60 პროცენტი, დანარჩენი ტერიტორია კი გამოუსადეგარია სასოფლო მეურნეობისათვის.

მაშინდელი მონაცემებით საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდიოდა 0,9 ჰექტარი სახნავი მიწა, ხოლო საქართველოში — 0,15 ჰექტარი და ეს მაშინ, როცა საშუალო სიმჭიდროვით (67 კაცი 1 კვ.კ.მ.) საკავშირო საშუალო მაჩვენებელს 6,3-ჯერ აღემატებოდა.

მცირემიწიანობა მცირემიწიანობად! ახლა ენახოთ, როგორ ვუვლით იმ მიწებს, რაც გაგვაჩნდა. 1972 წელს 1952 წელთან შედარებით საქართველოში სახნავი მიწები თითქმის 40 (!) პროცენტით შემცირდა, და თუ ეს ასე გაგრძელდა და, სამწუხაროდ, უფრო სწრაფი ტემპით გრძელდება, საუკუნის დასასრულს, ე.ი. რაღაც შვიდ წელიწადში ხელში არარაფერი შეგვრჩება.

მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიტან ახლო წარსულიდან (სამწუხაროდ, ახალი მაგალითები ვერ მოვაგროვე), მდინარე ალაზანმა მარტო ახმეტის რაიონში ათი წლის მანძილზე 200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები რიყედ აქცია. სოფლის მეურნეობას უდიდეს ზარალს აყენებს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია. ეროზიით ჩამორეცხილ ნიადაგებზე კი, როგორც სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, მოსავლიანობა 70 პროცენტამდე მცირდება. ეროზიის შედეგად ნიადაგი ყოველწლიურად ორჯერ მეტ კალიუმს, ფოსფორსა და აზოტს კარგავს, ვიდრე სასუქების შეტანისას იღებს.

ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ, საქართველოში რა უსისტემოდ შენდება სახლები, ქარხნები, ჰესები და ა.შ. მხოლოდ ერთი მაგალითის მოტანით დავკმაყოფილდები. თავის დროზე „თბილჰიდროპროექტმა“ დააგეგმარა ვარციხის ჰიდროელექტროსადგური, რომლის მიხედვითაც მშენებლობისათვის გამოყვეს 1200 ჰექტარი მიწა, აქედან 734 სახნავი და 36 ჰექტარი ვენახი. როცა ამ მშენებლობის ირგვლივ დიდი კამათი ატყდა (სხვათა შორის, უნდა გავიხსენო რევაზ ჯაფარიძის შესანიშნავი პუბლიცისტური წერილი), პროექტი გადასინჯეს და აღმოჩნდა, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის სრულიად საკმარისი იყო 501 ჰექტარი.

მოსავალს იძლევა მიწის ის ნაწილი, რომელსაც ჰუმუსი ჰქვია. ერთი სანტიმეტრი ჰუმუსის წარმოშობას სჭირდება 250—300 წელიწადი. შეიძლება ადამიანმა ყველაფერს მიაღწიოს, შეიძლება სულ მალე თერმობირთვული პროცესებიც დაიმორჩილოს, მაგრამ იმედის ნაპერწკალიც კი არ არის იმისა, რომ ჰუმუსის წარმოშობა დააჩქაროს.

ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში საერთოდ, მაღალგანვითარებულ ქვეყანაში თვალისჩინივით უფრთხილდებიან ჰუმუსს. როცა გზა გაჰყავთ ან შენობას აშენებენ, პირველ რიგში ჰუმუსს ერთი კოლბოხის დაუკარგავად ჭრიან და სხვა ადგილზე გადააქვთ. მე თვითონ მინახავს, რაინის ხეობაში კლდეებზე როგორ აკეთებენ ბეტონის ჯიბეებს, იქ მშენებლობის ადგილიდან მოტანილ ჰუმუსს ყრიან და ვაზს რგავენ.

საქართველოში კი?

გინახავთ სადმე მშენებლობის დაწყების წინ, თუნდაც გზების გაჭრისას ჰუმუსი სადმე გადაეტანოთ? რამდენი მილიონი ტონა ჰუმუსი მოჰყვა მშენებლობებისა და გზების ქვეშ? ისიც ხომ გვინახავს, როგორ იტანჯება ჰუმუსი ასფალტის ქვეშ? როგორ იბრძვის ყვავილი თუ ბალახი, ასფალტის ფენა ამოაღრმავოს და თავისუფლად ამოისუნთქოს?

მახსოვს, 1976 წელს პროფესორ ნ.იაშვილს წერილი დაუბეჭდა. მინდა ერთი ადგილი მოვიტანო ამ წერილიდან: „გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში საცხოვრებელი მასივის გასაშენებლად ორ ასეულამდე ჰექტარი სარწყავი მიწა ჩამოწერეს, ბაღ-ვენახები, ბოსტნები და ბაღჩები გაანადგურეს. ორივე ქარხნის სარკინიგზო ჩიხის მშენებლობის დროს ზეზეულად დაამხეს რამდენიმე ჰექტარი ხეხილის ბაღი. ამას სჩადიოდნენ მაშინ, როცა ფონიჭალიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ ძვირადღირებულ და შრომატევად სამუშაოებს ახორციელებს — ბიცობიანი და დამლაშებული ნიადაგების მელიორაცია-ათვისებასა და გასარწყავებას“.

შეიძლება მისაყვედუროთ, ძველი მაგალითები რატომ მოგვყავსო. ახლა უარესი ამბები ხდება, ბატონო ფელიქს. ახლა რომ განუკითხაობა და ქაოსია, მსგავსი არასდროს არ ყოფილა. ამიტომაც უნდა იმოქმედოს პარლამენტმა სწრაფად.

თქვენ ხომ საკითხების დინჯად და საფუძვლიანად განხილვის მომხრე ხართ.

დიახ, პროფესიონალურად უნდა განვიხილოთ ყოველი საკითხი, მაგრამ სიდინჯე იმას როდი ნიშნავს, ერთ საათში გადასაწყვეტი კანონის მიღებას სამი დღე შევწიროთ. მახსოვს, ბებიაჩემმა იცოდა, ნელა წადი და ჩქარა მოდიო. როცა კანონს ეთანხმები, როცა ერთი დეპუტატის მოსაზრება ჭკუაში დაგიჯდა, აღარაა სავალდებულო, შენც გამოთქვა შენი აზრი, მავანის და მავანის მოსაზრებას ვიზიარებთ. ამისათვის ხელში გაქვს პულტი და კენჭისყრის დროს პულტზე თითის დაჭერით გამოხატე საკუთარი პოზიცია.

ისე კი, ბატონო ფელიქს, იმდენი დრო არსად არ იხარჯება უქმად, როგორც ჩვენში. ნებისმიერ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში სამრეწველო საწარმოებში უკანასკნელ კაპიკამდეა გათვლილი ერთი წუთი მოცდენის ფასი.

ჩვენ კი?

ტელეფონი იმიტომ მოიგონეს, რომ საკითხები სწრაფად და ოპერატიულად გადაიჭრას. არ უნდა დაკარგო დრო გზაზე, მიღებაზე, კაბინეტში შესვლასა და გამოსვლაზე. ჩვენთან კი ტელეფონი იმიტომაა არის, რომ თანამდებობით ზემდგომმა თავისი ამბიციურობა დაიკმაყოფილოს. ჯერ მდივანს უნდა ელაპარაკო, შემდეგ თანამდებობის პირს უნდა შეუთანხმდე, როდის მოიცლის და მიგიღებს. ხომ შეიძლება პროცესი გავამარტივოთ და საკითხი ტელეფონით გადავჭრათ? არავითარ შემთხვევაში. მაშინ ურთიერთობა უბრალოვდება. თუ უფროსს პირადად არ ეახელი, მისი თავმოყვარეობა ილახება.

ერთი შემთხვევა მინდა შეგახსენოთ, თუ (ჯერ კიდევ როდის!) როგორ უფრთხილდებოდა დროს კარდინალი რიშელიე. ერთმა მთხოვნელმა გრძელი განცხადება შეუტანა. რიშელიემ განცხადება უკან გადაუგდო და უთხრა, მოკლედ დაწერე, რა გინდაო. მთხოვნელმა ახალ განცხადებაში მხოლოდ ორი სიტყვა დაწერა „შია, მცივა“. რიშელიემ უმალვე წააწერა „პური, შეშა“.

—რას გვეტყვით სიკვდილით დასჯის შესახებ? ვიცი, მწერლებისათვის ძალზე ძნელად პასუხისგასაცემი შეკითხვაა, მაგრამ მაინც უნდა გვიპასუხოთ.

გ.ფ. — გულწრფელად გეტყვით, ძალზე უსიამო შეკითხვაა. პასუხს თავს მაინც არ ავარიდებ და ჩემს მოსაზრებას პირდაპირ მოგახსენებთ. იმასაც გულწრფელად გეტყვით, ძალზე გამაღიზიანა პარლამენტში სიკვდილით დასჯის თემაზე კამათმა. გამაღიზიანა ბევრმა მათგანმა, მთელი საქართველოს წინაშე რომ კეკლუცობდა თავისი ჰუმანიზმით. განსაკუთრებით გამაღიზიანებელი იყო ფრაზა „ადამიანს როგორ უნდა წაართვა ღვთით მინიჭებული სიცოცხლე“. ბევრი მათგანის წინაშე ბოდიშს ვიხდი, ისინი გულწრფელნი იყვნენ თავისი აზრის გამოთქმისას. ზოგიერთმა ისეთმა პიროვნებამაც აიჩუყა გული, ერთ საწინააღმდეგო ფრაზას რომ არ აპატიებენ ადამიანს.

— მგონი, იქ ლაპარაკი იყო წინასწარგანზრახულ მკვლელობებზე, არა?

გ.ფ. — წინასწარ განზრახული მკვლელობაც სხვადასხვანაირია. ვთქვათ, კაცმა კაცი გააწამა, დაჩაგრა, გაანადგურა, კაცობა შეუგინა, მან კი სამართალი ვერ იპოვა და თავისი დამჩაგრელი მოკლა. რასაკვირველია, იგი დამნაშავეა, მაგრამ სიკვდილით დასჯას არ იმსახურებს. მაგრამ რა უნდა ვუყოთ ადამიანის მსგავს პიროტყვს, რომელიც მეზობლის ხუთი წლის გოგონას გააუპატიურებს, შემდეგ თავის მსხვერპლს მოკლავს, თავს მოაჭრის, ტანს ბუჩქებში დამალავს, ხოლო კვალის დაფარვის მიზნით თავს ქვით დანაყავს და მდინარეს გაატანს? არ წაართვა მან უმანკო ბავშვს „ღვთით მინიჭებული სიცოცხლე“? ან რა უნდა უქნა გარეწარს, რომელიც საკუთარი ძმის თოთხმეტი წლის ქალიშვილს თერამეტჯერ დაარტყამს დანას და შემდეგ სულთმობრძავს გააუპატიურებს? ჯერ ისწერიათ და უნდა წარმოიდგინონ, რას იზამენ, თვითონ რომ ჩავარდნენ ანალოგიურ სიტუაციაში?!

თუ საქმე კეკლუც ფრაზებზე მიდგება, რატომ აგვიჩემებია „ღვთით მინიჭებული სიცოცხლე“? იქნებ უფრო სწორი იქნებოდა გვეხმარა „სატანას მიერ მინიჭებული სიცოცხლე“?

არც შეუმოწმებელი ფაქტების მოხმობა ეპატიება პარლამენტარს. ყველაფერს შემოწმება და შესწავლა სჭირდება.

— რას გულისხმობთ?

გ.ფ. — ახლავე მოგახსენებთ, საიდანღაც გავრცელდა დებულება თუ მოსაზრება, სიკვდილით დასჯის კანონის არსებობისას უფრო მატულობს მკვლელობათა შემთხვევებიო. არავინ კი არ ამბობს, კერძოდ, სად, რომელ სპეციალურ ლიტერატურაში ამოიკითხა მსგავსი ფაქტები.

სინამდვილე თუ უნდათ, ფაქტების საძებნად შორს წასვლა არ დასჭირდებათ. საქართველოში გამეფებული დაუსჯელობის განწყობილებამ, სიკვდილით დასჯის შეჩერებამ წლიური 200 ერთეული 800 —მდე გაზარდა. ფაქტი, თუ გნებავთ, ესაა!

თანაც სასჯელი მარტო სხვების შესაშინებლად როდია გამოგონილი. ადამიანი ისჯება თავისი ნამოქმედარისათვის. ისჯება ისე, როგორც ამას მისი დანაშაული იმსახურებს.

იმ შეუსწავლელ სტატისტიკას თუ გავყვებით, მარტო სიკვდილით დასჯაზე რატომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება? თუ სიკვდილით დასჯა არ ამცირებს მკვლელობათა რაოდენობას, არც ციხეში ჩასმა შეამცირებს საერთო დანაშაულს. ავდგეთ და გავანთავისუფლოთ ყველა დამნაშავე!

— ბატონო გურამ, სახეზე გატყობთ, კიდევ ბევრი გაქვთ სათქმელი.

გ.ფ. — სათქმელი მართლაც ბევრი მაქვს, მაგრამ მეშინია, არ ეჩქარობდე. ღმერთმა ქნას და გავმტყუნდე! უნდა დამიჯეროთ, ეს იქნება იშვიათი შემთხვევა, როცა ადამიანს თავისი გამტყუნება გაეხარდება.

დეპუტატები ჩვენ ავირჩიეთ, ვენდეთ. თუმცა პარტიული და საკომპენსაციო სიებით გასული ისეთი დეპუტატებიც გვყავს, მანამდე არც მათი სახელი და გვარი ვიცოდით, არც მათ საქმიანობასა და მოღვაწეობაზე გაგვიგია რამე. თუმცა, მჯერა, მათ შორისაც არიან ღირსეულნი. ასეა თუ ისე, ისინი ხალხმა აირჩია. ვალდებულნი არიან თუ არა დეპუტატები, პატივი სცენ თავიანთ ამომრჩევლებს? ვალდებულნი არიან თუ არა, საპრობლემო საკითხების გადაჭრისას ცოტა ანგარიში მაინც გაუწიონ ამომრჩევლთა მოსაზრებებს და სურვილებს? და თუ ეს ასეა, რატომ მოითხოვენ ასე ხელაღებით ახალი არჩევნების ჩატარებას და სხვა ურთულესი პრობლემების ხელის ერთი დაკვრით მიღებას ან უკუგდებას?!

გვცალია კიდევ არჩევნებისთვის?! ან რა გარანტია გვაქვს, რომ უკეთეს პარლამენტს ავირჩევთ?! განა არ იციან, მდინარეს რომ ყველთვის შლამიც მოჰყვება ხოლმე?! თუ ეს ხელახალი არჩევნები ვილაცეებთან ანგარიშის გასასწორებლად და პარლამენტში ადგილების გადასანაწილებლად უნდათ, ხალხს რას ერჩიან, დთრგუნულ, გულმოკლულ, გაღატაკებულ და გატანჯულ ხალხს?!

გადასაჭრელია მილიონი პრობლემა, მოდის ხვნა-თესვის სეზონი, სოფლად თითქმის არაფერი არ კეთდება, საკვების უქონლობის გამო რესპუბლიკაში დაიკლა დიდძალი პირუტყვი, რა მოგველის მომავალ წელს? და ეს ყველაფერი ჯაჭვის რგოლებია იმ დიდი პროცესისა, რასაც ენერგეტიკის, ტექნიკის, სოფლის მეურნეობის, იმპორტ-ესქპორტის, განათლებისა და სხვა დარგების ერთიანი სისტემა ჰქვია.

— უნდა იყოს თუ არა პარლამენტში ოპოზიცია?

გ.ფ. — აუცილებლად! ოპოზიციის გარეშე პარლამენტი წარმოუდგენელია! ოღონდ უნდა იყოს საღი ოპოზიცია. იგი პოზიციას უნდა ეჯიბრებოდეს უკეთესი იდეების, მოსაზრებების წამოყენებაში, საკითხების გადაჭრის უკეთესი გზების პოვნაში და არა ისე, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, როცა კამათი თვითმიზნურ ხასიათს იღებს და ორთავე მხარე სპორტული აზარტით იბრძვის რათა ვისი წინადადება გაიტანოს, თანაც, სამწუხაროდ, ზოგიერთები ზოგჯერ არ იცავენ კამათის კულტურულ, ჯენტლმენურ წესებს. მე საშუალება მომეცა იერუსალიმში ერთ-ერთი პრობლემის განხილვას დავსწრებოდი. ცხარე დებატებში გაიმარჯვა მმართველი პარტიის პროექტმა. კენჭისყრის შემდეგ უმალვე გამოიყო კომისია, რომელსაც დაევალა მმართველი პარტიის პროექტი ოპოზიციის პროექტისათვის შეედარებინა და ყველა სასარგებლო აზრი გადმოეტანა, რათა შეუჯერებელი პროექტი ჭრესეთის მომდევნო სხდომაზე დაემტკიცებინათ.

სამწუხაროდ, ერთი დიდი ტკივილის ირგვლივ მინდა ვილაპარაკო. არც წინა და არც ახლანდელ პარლამენტში მწერლობასა და კულტურას არ სწყალობენ, წინა პარლამენტში კულტურას ერთსულოვანი ბრძოლა გამოუცხადეს. დღევანდელ პარლამენტში ბევრს ესმის ჩვენი მწერლებისა და კულტურის გასაჭირი. იციან, რომ ორი წელი მაინც გვჭირდება ახალ სტრუქტურებზე „გადასაწყობად“ და ის შეღავათები, კულტურის გადარჩენის კომიტეტმა და მინისტრთა კაბინეტმა რომ მოგვცა, პარლამენტმა არ დაამტკიცა. ეს არ არის ხელწამოსაკრავი საკითხი. კარგი იქნება, ის პარლამენტარები, ამ შეღავათების წინააღმდეგ რომ წავიდნენ, ჩვენი ინტერვიუს წინა ნომერში მოტანილ ჰაინრიხ ბიოლის გამონათქვამს თუ წაიკითხავენ. მინდა ვუთხრა მათ, რომ მარადიული ღირებულებები მანეთებით არ იზომება. ისიც მინდა ვთქვა, რომ მარადიული ღირებულებები განცალკევებულად არ იქმნება, არსებობს ერთი მთლიანი შემოქმედებითი პროცესი თავისი ძალზე ნიჭიერებით, ნიჭიერებით, საშუალო ნიჭის პატრონებითა და უნიჭოებით. და ამ პროცესის შეჩერება არ შეიძლება. სანამ გადაგვიჭრიან გზებს, სულის მოთქმა უნდა გვაცალონ.

წელან მე ასფალტის ქვეშ მოქცეული ჰუმუსი და ის ბალახი ვახსენე, ასფალტს რომ ამოარღვევს ხოლმე. ასეა მწერლობა, ასეა ხელოვნება. ჩვენც იმ ბალახს ვგავართ და ნებისმიერ ასფალტს ამოვარღვევთ, მაგრამ მინდა ვკითხო ჩვენს ზოგიერთ პარლამენტარს — სავალდებულოა ამ ჯოჯოხეთის გავლა?!

სულო ცოდვილო და ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, იქნებ ზოგიერთებს ისიც აღიზიანებთ, მწერლობისა და კულტურის სფეროდან საკმაო რაოდენობით რომ არიან დეპუტატები?!

— როგორია თქვენი აზრი, სჭირდება საქართველოს ამდენი პარტია?

გ.ფ. — საქართველოს ბევრი რამ არ სჭირდება, მაგრამ მაინც არსებობს. ეს საერთო სენია. სხვა ქვეყნებშიც არ გრძნობენ პარტიების სიმცირეს. ისე კი, როგორც ჩვენ გვჩვევია, ყველაფერი გადაჭარბებული ვიცით. მართლაც რა საჭიროა ამდენი პარტია? რამდენიმე პარტიის გარდა კაცმა არ იცის მათი პროგრამა და მისწრაფებანი. ნუთუ ამდენი პარტიიდან (მგონი, ორასამდეა, არა?), რამდენიმე მაინც არ არის ისეთი, მსგავსი ამოცანები და პროგრამა რომ ჰქონდეთ? არ სჯობია ოთხი-ხუთი ასეთი პარტიის გაერთიანების შედეგად უფრო მძლავრი პარტია შეიქმნას?!

რასაკვირველია, სჯობია, მაგრამ ეს არ მოხდება. აქვს თავისი მომხიბვლელობა პარტიის გენერალურ მდივნობას თუ თავმჯდომარეობას! აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ხუთი პარტია გაერთიანდა. ოთხი გენერალური მდივანი თუ თავმჯდომარე ხომ დარჩა ლიდერის გვირგვინის გარეშე!

— ბატონო გურამ, რამდენადაც ვიცი, მალე სამოცი წელი გისრულდებათ. არ ვიცი, განგებ დაამთხვიეთ თუ შემთხვევით მოხდა, საიუბილეო თარიღს რომ ახალი რომანით ხვდებით. როგორც პრესიდან შევიტყვეთ, „მნათობი“ პირველი ნომრიდან იწყებს რომანის ბეჭდვას.

გ.ფ. — რასაკვირველია, დაემთხვა. ჩემი ახალი რომანი სამი წლით ადრე უნდა დამემთავრებინა, მაგრამ რას იზამ, სამსახურიც აუცილებელია.

მადლობა მინდა გადავუხადო „მნათობის“ მთავარ რედაქტორს ბატონ არჩილ სულაკაურს. მან ძალით წამგლიჯა რომანის პირველი ნაწილი და სტამბაში ჩაუშვა. იძულებული გავხდი, დღე და ღამე გამესწორებინა და რომანის მეორე ნაწილიც საბოლოო სახეზე მიმეყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოქვეყნება კიდევ ერთი წლით გადაიდებოდა.

— რომანით კმაყოფილი ხართ?

გ.ფ. — ჩემი კმაყოფილება არაფერს ნიშნავს. მთავარია, მკითხველი დარჩეს კმაყოფილი.

— მაინც როგორი. განწყობილებით ხვდებით საიუბილეო თარიღს?

გ.ფ. — გულდამძიმებული, გულგასიებული. ან კი რა უნდა მქონდეს სასიხარულო?

ხალხი შებინდების შემდეგ ქუჩაში ველარ გამოდის.

პანაშვიდები ყაჩაღებისა და მძარცველების შიშით საღამოს 7—9 საათიდან დღის პირველ-ორ საათზე გადაიტანეს!

სპექტაკლებიც იმავე დროს იწყება, თუმცა ხალხი მაინც ვერ ბედავს თეატრებში წასვლას!

ოჯახის წევრს თუ შეაგვიანდა, ოჯახი შიშით კანკალებს!

გაიაფდა ადამიანის სიცოცხლე, ორ კაპიკად ხოცავენ ხალხს!

გაძარცულია მთელი საქართველო. გაძარცულია თითქმის ყველა ოჯახი!

ერს საერთოდ დაავიწყდა, რა არის შრომა!

სასაცილო სიტყვები გახდა „წმინდა“ და „ამაღლებული“!

პრესაში ჩვეულებრივი ამბავია ადამიანის აბუჩად აგდება, შეურაცხყოფა, დემაგოგია!

დაიკარგა ზრდილობა, კულტურა, რაინდობა, კდემამოსილება!

სირცხვილით ვიწვოდი, ახალი წლის ღამეს, სასტუმროებში და წაავერმყოფებში რომ ლტოლვილებით, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანებით იყო სავსე, ზოგიერთები, და ეს ზოგიერთები ათასები იყვნენ, არად დაგიდევდნენ გაჭირვებულთა ბედს და შემზარავი შედლუხით ფანჯრებს აზანზარებდნენ.

ჩვენი თავი ჯანდაბას, მაგრამ რა ვუყოთ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, რა ვუყოთ საქართველოს ხვალინდელ დღეს?!

დღეს ბევრი ახალგაზრდა მიდის უცხოეთში სასწავლებლად და თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც დღეს არის, დაუბრუნდებიან ისინი თავის სამშობლოს?!

საქართველო აშკარად დადგა ინტელექტუალური ექსპორტის დამანგრეველი საშიშროების წინაშე.

და ყოველივე ამის შემდეგ რა უნდა გითხრათ თქვენი შეკითხვის პასუხად?

— როგორ, ერთ სამომავლო სხივს მაინც ვერ ხედავთ?!

გ.ფ. — ერთ სხივს კი არა, სხივების კონებს ვხედავ. ოღონდ თუ გონს არ მოვეგეთ, თუ საქართველოსა და ქართველებზე ჩვენს მიერვე შექმნილი ამპარტავნული იმიჯი არ გავაცამტვერეთ, თუ საკუთარ თავს რეალურად არ შევხედეთ და მოახლოებული კატასტროფა არ შევიგრძენით, იმ სხივებს სარკესავით ავირეკლავთ!

ესაუბრა

ფელიქს კოჭიაშვილი

# აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ

**აბესალომ ტუღუში**

სამართლებრივ საყრდენად იყენებენ არძინბა, შამბა, აჩბა და ძმანი მათნი. მაშ, რომელ დოკუმენტს უნდა დავეყრდნოთ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრისას?

ცხადია, მხოლოდ კანონიერების ყველა წესის დაცვით მიღებულ კონსტიტუციის ან კონსტიტუციურ აქტს.

მართალია, აფხაზეთის ამგვარი, კანონიერი კონსტიტუცია არ არსებობს, მაგრამ საბედნიეროდ არსებობს ასეთი კონსტიტუციური აქტი. ესაა აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ 1919 წლის 20 მარტს მიღებული „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ".

აფხაზეთის სახალხო საბჭო, რომელიც 1919 წლის თებერვალში აირჩია საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, იყო აფხაზეთის ისტორიაში პირველი და სამწუხაროდ დღემდის უკანასკნელი წარმომადგენლობითი, კანონიერი საკრებულო. ამიტომ მის მიერ მიღებული ეს კონსტიტუციური აქტიც, კანონიერებს ყველა წესის დაცვით მიღებული ერთადერთი სამართლებრივი დოკუმენტია და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა სწორედ მასზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

ეს აქტი სულ ორი მუხლისაგან შედგება და ამიტომ მას აქ მთლიანად მოვიყვან.

## აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ

აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, რომელიც არჩეულია საყოველთაო, პრდაპირი, თანაბარი და ფარული არჩევნების საფუძველზე, თავისი 1919 წლის 20 მარტის აფხაზეთის ხალხთა სახელით, დაადგინა:

1. აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას.

2. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესადგენად და ცენტრალურ და ავტონომიურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობათა დასადგენად არჩეული იქნეს შერეული კომისია წევრთა თანაბარი რაოდენობით საქართველოს დამფუძნებელი კრებისაგან და აფხაზეთის სახალხო საბჭოსაგან და ამ კომისიის მიერ შემუშავებული დებულებები მათი საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზთა სახალხო საბჭოს მიერ მიღების შემდეგ შეტანილ უნდა იქნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში (აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 4—39, აღწ.1. საქმე 16. ფურც. 41).

როგორც ვხედავთ, ამ კონსტიტუციური აქტით აფხაზეთი შედის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში როგორც მისი ავტონომიური ერთეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლაპარაკიც არ უნდა იყოს როგორც აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე, ასევე აფხაზეთისათვის ავტონომიის წაგვრაზე.

ამ კონსტიტუციური აქტის მიღებისას კენჭისყრით უარი ეთქვა წინადადებას, რომელიც ითვალისწინებდა აქტის მეორე პუნქტში დაფიქსირებას იმისა, რომ აფხაზეთს მიელო გარანტიები საქართველოსთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, თუკი ამ უკანასკნელში პოლიტიკური წყობა შეიცვლებოდა! (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღწ.1 საბ. 853.ფურც. 109).

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ აფხაზეთის ძალმოსილი კონსტიტუცია არ არსებობს, მაგრამ ასეთ კონსტიტუციაზე მუშაობა აფხაზეთის სახალხო საბჭოს იმთავითვე ჰქონდა დაწყებული. მეტიც, ამ საბჭომ 1919 წლის 30 მარტს წინასწარვე უყარა კენჭი აფხაზეთის შესამუშავებელი კონსტიტუციის პირველ, იმპერატიულ მუხლს, რომელშიც ნათქვამია:

„აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული" (აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ.Ё—39. აღწ.1. საქმე 1, ფურც.2).

სამწუხაროდ, საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ვერ გამოიჩინა პოლიტიკური სიბრძნე და თანმიმდევრულობა და სათანადოდ ვერ შეაფასა აფხაზეთის სახალხო საბჭოს 1919 წლის 20 მარტის კონსტიტუციური აქტის უდიდესი მნიშვნელობა.

ამ შეცდომის გამოსწორება საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის მიერ არათუ სასურველია, აუცილებელიცაა, რადგან აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის მხოლოდ ზემოხსენებული კონსტიტუციური აქტისეული განსაზღვრა პასუხობს როგორც ქართველი ასევე აფხაზი ერის სასიცოცხლო ინტერესებს. ამიტომ, ერთადერთ აფხაზურ კანონიერ კონსტიტუციურ აქტზე დაყრდნობა, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის მომავალი ერთობლივი განსაზღვრის დროს, სამართლებრივად განაიარაღებს საქართველოსათვის მისი ამ განუყოფელი ნაწილის ჩამოცილების მოსურნეებს და საშუალებას მისცემს აფხაზთა საღად მოაზროვნე ნაწილს, იხსნას საკუთარი ერი, მოსალოდნელი ეთნიკური ქრობისაგან. ხოლო საქართველოს ხელისუფლებას გაუადვილებს ისტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის მიმდინარეობის დროულად და ღირსეულად დამთავრებას.

ქართველთა და აფხაზთა სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების ორივე მხარისათვის სასურველ კალაპოტში ჩაყენებისათვის საჭიროა ერთმანეთისადმი ნდობის ამინდის შესაქმნელად აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

უწინარესად ყოვლისა საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციური კანონი (ანუ ისეთი კანონი, რომელიც ცალკე თავად შევა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში), რომლითაც განისაზღვრება აფხაზეთის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ავტონომიური ერთეულის უფლებები და მოვალეობანი. ცხადია, ეს კონსტიტუციური კანონი იმ შემთხვევაში იქნება უფრო ძალმოსილი, თუ ის აფხაზეთის ავტონომიის შესახებ 1919 წლის 20 მარტის აქტზე იქნება დაფუძნებული.

ასეთი კონსტიტუციური კანონის სასწრაფოდ მიღების აუცილებლობას გვკარნახობს არა მარტო შექმნილი მძიმე მდგომარეობა, არამედ წარსულის მწარე გამოცდილებაც. საჭიროა, აფხაზ ერს, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს რუსეთის აფხაზმა მსტოვრებმა საკუნოვანი ძირგამოთხრილი მუშაობის შედეგად ქართველი ერისადმი ნდობა დაუკარგეს, მიეცეს მყარი კონსტიტუციური გარანტიები იმისა, რომ მისი, როგორც ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში უზრუნველყოფილი იქება.


WORLD LABORATORY

## „THANK YOU, AMERICA!", „DANK DIR, DEUTSCHLAND!"

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „მსოფლიო ლაბორატორიის" საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი აყალიბებს ახალგაზრდულ კლუბებს „გმადლობთ, ამერიკა" და"გმადლობთ, გერმანია".

კლუბების მიზანია ხელი შეუწყოს საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდების რეადაპტაციას, მათი პროფესიული და საზოგადოებრივი ინტერესების ჩამოყალიბებას, ინტელექტუალური პოტენციალისა და თავისუფალი დროის ოპტიმალურ გამოყენებას, ამერიკისა და გერმანიის სასწავლო დაწესებულებებთან, საქველმოქმედო ფონდებთან, საქმიან წრეებთან, კერძო პირებთან პირადი კონტაქტების გააქტიურებას და სხვა.

კლუბები თავის საქმიანობას წარმართავენ განათლების სამინისტროსთან, ამერიკისა და გერმანიის საელჩოებთან მჭიდრო კონტაქტში.

კლუბების წევრებად შეიძლება მიღებულ იქნან საქართველოს რესპუბლიკის ის მოსწავლეები და სტუდენტები, რომლებმაც ამერიკისა და გერმანიის სასწავლებლებში მიიღეს განათლება არანაკლებ ექვსი თვის განმავლობაში.

კლუბებში გაწევრიანების მსურველებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნულ პირობას, უნდა წარმოადგინონ განცხადება, ცნობა სასწავლო დაწესებულებიდან და საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი „მსოფლიო ლაბორატორიის" საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრში სამუშაო დღეებში 11-დან 15 საათამდე (თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა №2 ტელ. 956336). კლუბებში გაწევრიანება უფასოა.


საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ულოცავს ნანატრი ჩიტიშვილს ვაჟიშვილის შეძენას.

## ყურადღება!

საქართველოს სახალხო ფრონტი, ცხინვალის რეგიონის სპეციალური სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, თავისი გამომცემლობის — „ორნატის" მეშვეობით რამდენიმე ტომად გამოსცემს შიდა ქართლის ისტორიის წერილობითი წყაროების კორპუსს, რომლის მიზანია მტერსაც და მოყვარესაც თვალნათლივ დაანახოს ამ ქართულ მიწა-წყალზე დემოგრაფიულ-ეთნიკური ცვლილებების ნამდვილი სახე, აქ არაქართული ეთნოჯგუფის დამკვიდრების ჭეშმარიტი ისტორია.

არქივებში, ძველ წიგნებში და ჟურნალ-გაზეთებში მიმბნეული ამ უძვირფასესი მასალის გამოუმზეურებლობაა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სეპარატისტთა გათამამებისა და ამ ძირძველი ქართული მიწის თავისად მიჩნევისა.

ამ, პოლიტიკური და ეროვნული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი საქმის განხორციელებისათვის თქვენის მხრივ ხელის გამართვას ვსაჭიროებთ ფინანსურად, ან ქაღალდისა და სასტამბო დაზგა-დანადგარების შეძენის სახით.

იმედი გვრჩება თქვენის მხრივ შეძლებისდაგვარად თანადგომისა.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო, კომერციული ბანკი „დრო" — ანგ. № 700161924 მფო 522759, საგამომცემლო ფირმა „ორნატი" ანგარიში № 000609039.

საქართველოს ტელევიზიამ და ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა ნიჭიერი ხელოვანი, ტელევიზიის ოპერატორი ვლადიმერ (ვოვა) ერმაკოვი.

საქართველოს სახალხო ფრონტი უსამძიმრებს ნანა წითელაშვილს მეუღლის გარდაცვალებას.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი
სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ფელიქს კოჭიაშვილი
კობა ლიკლიკაძე
მიხო მოსულიშვილი
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 10 მან.

ავტორებს ვთხოვთ ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის მასალას ნუ შემოგვთავაზებენ.